ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1908-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 25 (1398) | ნოემბერი, 1994 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

»სანამ საქართველოში ხელისუფლების სათავეში კვლავ დარჩებიან ე.წ. დემოკრატიული რევოლუციის მამები, ამერიკის მხრიდან ყოველგვარი სერიოზული დახმარება გამორიცხულია»–

ამბობენ ამერიკის სენატის ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები

რედაქციაში გვესტუმრა საქართველოს ახალგაზრდობის კონსერვატიული კავშირის თავმჯდომარე ბ-ნი ქორნელი ქაკაჩია, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალგაზრდული ორგანიზაცია „Young America's Foundation-ის მიწვევით კონფერენციებზე, ლექციებზე და შეკრებებზე მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც ამერიკის სხვადასხვა ქალაქებსა და სახელმწიფო ცენტრებში გაიმართა მსოფლიოში ცნობილი პოლიტოლოგებისა და პოლიტიკოსების მონაწილეობით. ჩვენი თხოვნით ბატონმა ქორნელიმ გაგვიზიარა ამერიკაში ვიზიტის შთაბეჭდილებები.

ამერიკაში, ქ. ვაშინგტონში, ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ერთკვირიანი კონფერენცია, რომელზეც მეც მომეცა საშუალება გამოვსულიყავი ხუთწუთიანი სიტყვით და დამსწრე საზოგადოებისათვის გამეცნო საქართველოს ახალგაზრდული კონსერვატიული კავშირის საქმიანობა და რაც მთავარია, დღეს საქართველოში არსებული სიტუაცია. ამ კონფერენციის მსვლელობისას საშუალება მომეცა შევხვედროდი ამერიკის ისეთ პოლიტიკოსებს სენატსა და კონგრესში, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ამინდს ქმნიან დღევანდელი ამერიკის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. კერძოდ, სენატორ ვოლოფს, რომელიც პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან და რომელთანაც საუბრისას გამოიკვეთა მისი სიმპათიები საქართველოს მიმართ, თუმცა მან და უნდა აღინიშნოს, რომ სხვა პოლიტიკოსებმაც, ვისაც კი შევხვდით, ხაზი გაუსვეს იმას, რომ საქართველოს რაღაც განსაკუთრებული იმედი არ უნდა

გაგრძელება მე-2 გვ.

დახეული ფული და «დარხეული» კუპონი...

„**დახეულ** ფულს არ ვიღებ", „დახეულ ფულს ნუ მაძლევთ" — დამეთანხმებით, ეს ფრაზები ხშირად გვესმის ქალაქში და ზოგჯერ ჩვენც ვიმეორებთ მათ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ფულად-სასაქონლო ურთიერთობა ხდება უცხო ქვეყნის ვალუტით, რუსული რუბლით, ხოლო სახელმწიფო ფულის ნიშანი ქართული კუპონი, რომელიც გვაძლევა ხელფასების სახით, მიმოქცევიდან თითქმის მთლიანად არის ამოვარდნილი და სამართლიანად „პურის ტალონად" იწოდება.

იყო დრო, როცა მანეთი იყო სსრკ-ს ფულის ნიშანი და ჩვენც, როგორც ამ კავშირში შემავალი რესპუბლიკის მოქალაქეებს, მანეთი კანონიერად გვეძლეოდა შრომის ანაზღაურების საფასურად, თუმცა ე.წ. უშრომელი შემოსავლებიც არ იყო ბევრისათვის უცხო ხილი. აქედან გამომდინარე, თუ ფული შემოგვეხეოდა ხელში, მისი გამოცვლა პრობლემას არ წარმოადგენდა. მიხვიდოდი ნებისმიერ სახელმწიფო ბანკში და პატიოსნად გადაცვლიდი ახალ ტაციინა კუპიურებში ნაფლეთებად ქცეულ მანეთებს. დღეს ჩვენს ეროვნულ ბანკს დახეული მანეთის გამოცვლა კი არა, კუპონის გამოცვლაც კი უჭირს და ეს არც არის გასაკვირი. ფულის მოჭრა ხომ სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო სოლიდური საფასურით უცხო ქვეყნებში ხდება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დახეული ფულის პრობლემა დიდხანს იქნება ჩვენს რესპუბლიკაში. პრობლემას არ წყვეტს, ის, რომ ზოგიერთ ჟიხურში დახეული ფულის გამოცვლისათვის მისი ღირებულების ნახევარს ახდევინებენ ამ საქმის ბიზნესმენები.

მაშასადამე, საშველი არ არის, გარდა ერთისა — ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავთქვათ და აღარ დავუწუნოთ ერთმანეთს გაცრეცილი და განახევი მანეთიანები, რითაც ზედმეტად ნერვებს აღარ მოვიშლით ამ ისედაც ჭირ-ვარამიან ცხოვრებაში.

გ. თბილელი

არჩევნების ექო

ჯაბა მაგარია, ჯაბას ვერავინ მოერევა. „არჩევანი" მაგარია, „არჩევანს" ვერავინ მოერევა

13 ნოემბერს საზოგადოების არჩევნებისადმი საერთო გულგრილობის ფონზე საკმაოდ „უხმაუროდ", მაგრამ მაინც საინტერესოდ და მჩქეფარე მოგლენებით აღსავსემ ჩაიარა თბილისის ვაკის რაიონში პარლამენტის დეპუტატის არჩევნებმა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ეს გახლდათ, სპორტული ტერმინი რომ ვიხმაროთ, მოთელვა იმ დიდი არჩევნების წინ, რომელიც ოქტომბერშია მოსალოდნელი, თუკი მანამდე პოლიტიკურ ამინდში ქარიშხალი არ გამოერია და ეს მოთელვა ბრწყინვალედ ჩაატარა სულ ცოტა ხნის წინათ ბატონ ჯაბა იოსელიანის ინიციატივით შექმნილმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „არჩევანმა". გამართლდა საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, რომ ჯაბა მაგარია, ჯაბას ვერავინ მოერევა, „არჩევანი" მაგარია, „არჩევანს" ვერავინ მოერევა, მართლაც რომ საოცარია. წლების მანძილზე წელებზე ფეხს იდგამენ პოლიტიკური პარტიები, აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ღამეებს ათევენ ათასნაირი პროგრამებისა თუ კანონპროექტების შემუშავებაზე, ცდილობენ არჩევნებში მომზადებული და არაკომპრომეტირებული პიროვნებები წარადგინონ და „არჩევანთან" ჭიდილში ყველაფერი წყალში ეყრებათ. თუნდაც საზოგადოებისათვის ნაკლებ ცნობილი, არაკომპეტენტური, დიდად არაფრით გამორჩეული პიროვნება იყავი, მთავარია ბატონი ჯაბა პატივს გცემდეს, „არჩევანში" შინაურ კაცად მიგიღონ და მაშინ წინ ვერავინ დაგიდგება.

მართლაც რომ ჯაბა მაგარია, ჯაბას ვერავინ მოერევა, „არჩევანი" მაგარია, „არჩევანს" ვერავინ მოერევა.

თუკი ვინმეს ეჭვი ეპარება ამ სიტყვებში და ჩვენც არ გვენდობა, მაშინ ბატონო, გაიკითხ-გამოიკითხოს, თუ რა მოხდა 13 ნოემბერს ვაკის საარჩევნო ოლქში. ჩვენ სანდო წყაროებით მიღებულ ვერსიას შემოგთავაზებთ.

ძირითადად სამი კანდიდატი დაეჯახა ერთმანეთს აღნიშნულ ოლქში პარლამენტის წევრობისათვის, კონცერნ „ამალთიას" პრეზიდენტი, უფრო გასაგები ენით — რძის კომბინატის დირექტორი, მოქალაქეთა კავშირელი ბატონი ცქიტიშვილი, სახელმწიფოს მეთაურის მთავარი მრჩეველი, თავის დროზე „მხედრიონის" გამორჩეული წევრი „არჩევნელი" ბეგიაშვილი და უფულო ლექტორი, რესპუბლიკელი ლა-

გაგრძელება მე-2 გვ.

საქართველოს პოლიტიკურ კლუბს

ბატონებო!

მადლობას მოგახსენებთ მოწვევისათვის.

საქართველოს განსაკუთრებით მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, მზად ვართ მოლაპარაკებისათვის ყველა პარტიასთან, მათ შორის თქვენს მიერ მოწვეულ პარტიებთანაც, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ყველა კონკრეტულ საკითხზე. რაც შეეხება უფრო მჭიდრო თანამშრომლობას, ჩვენ მისთვისაც მზად ვართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი პარტნიორი კატეგორიული მომხრე იქნება:

ა) СНГ-ში საქართველოს ყოფნის მიუღებლობის აღიარებისა

ბ) ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების კაპიტულანტური ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის შექმნის გეგმის უარყოფისა.

გ) აფხაზეთის სტატუსის და აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ჯარების განლაგების შესახებ 4 აპრილისა და 14 მაისის დოკუმენტების დეზავუირებისა.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭო

ჯაბა მაგარია, ჯაბას ვერავინ მოერევა. „არჩევანი“ მაგარია, „არჩევანს“ ვერავინ მოერევა

პირველი გვერდიდან

ვროსი შევარდნაძე. ბატონმა ლავროსმა საპატიო მესამე ადგილი დაიჭირა საარჩევნო ხმების მოგროვებაში, რაც ამჟამად მიღწევად უნდა ჩაეთვალოს მასაც და რესპუბლიკურ პარტიასაც, რადგან არჩევნებში კონკურენტებმა, როგორც ცნობილია, ფულით სავსე ტომრები დახარჯეს, ოქრო კი, შექსპირმა ბრძანა — თვით დედაბერსაც ქალწულად აქცევს.

დახარჯეს და ღმერთმა ბევრიც დაახარჯვინოთ, მაგის ნაკლებობას, ვგონებ, არც ერთი განიცდის და არც მეორე, მითუმეტეს ბატონმა ბეგიაშვილმა, როგორც ნუცუბიძის პლატოს მეორე და მეოთხე მიკროორაიონელებმა გვამცნეს, დიდი წვლილი შეიტანა არჩევნების წინა დღეებში აფეთქებული და გადაბუგული ტრანსფორმატორებისა და ელექტროკაბელების გამოცვლაში, რაც, თუ მართალია, უთუოდ ქებას იმსახურებს. ერთი რამ კი ნამდვილად არ მოეწონათ ნუცუბიძის პლატოელებს. 12 ნოემბერს, საღამოს მოხერხებულა მოსახლეობისათვის დენის მიწოდება და მათდა საუბედუროდ, თურმე სწორედ იმ წუთს ტელევიზიით ბატონი ლავროსი შევარდნაძე თავის თავს აცნობდა ტელემაყურებელს. ისევე არ დასცალდა ბატონ ლავროსის სიტყვის ბოლომდე თქმა, როგორც ნუცუბიძის პლატოელებს ჩაის წამოდუღება თავიანთ ელექტროღუმელებზე.

არჩევნების წინ დეპუტატობის კანდიდატის მიერ ჩაბნელებული უბნის განათებაში თუკი ცუდს ვერაფერს დაინახავს კაცი, ამას ვერ ვიტყვით იმ ფაქტზე, რომელიც ერთ შეკრებაზე საზოგადოებას ამცნო მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ზ. ქვანიამ, მან აღშფოთებით განაცხადა,რომ ჩვენი პარტიის კანდიდატი ბატონი ცქიტიშვილი ყველა უბანში ჯაბნიდა სხვა კანდიდატებს, მაგრამ წყნეთის საარჩევნო უბანში ვ. ბეგიაშვილის მომხრეებმა არ დაუშვეს დამკვირვებლები, სხვა პარტიის წარმომადგენლები და ჟურნალისტები, ფარულად რამდენიმე ათასი ბიულეტენი ჩაყარეს საარჩევნო ყუთში ვ. ბეგიაშვილის სასარგებლოდ და ასე გაამარჯვებინეს არჩევნებში. ჩვენ საჩივარი შევიტანეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და თუ საჭირო გახდა, სასამართლოშიც ვიჩივლებთო.

თუკი ეს ბრალდება დადასტურდა, ან თუ ვერ დადასტურდა, ჯაბა მაინც მაგარი იქნება, ჯაბას ვერავინ მოერევა, „არჩევანი“ მართლა მაგარი ყოფილა, „არჩევანს“ მაინც ვერავინ მოერევა, თუ ამომრჩეველი ისეთი პასიური იქნება და მხართეძოზე წამოწოლილი, როგორც 13 ნოემბრის არჩევნებში. ოფიციალური მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა მიუღია ამომრჩეველთა მხოლოდ 15%-ს, არადა, ხმების გაყალბებაც თუ დადასტურდა, აღმოჩნდება, რომ არჩევნებზე კანდიდატთა მხოლოდ ახლო ნათესაობაა მისული.

ბია თვალავაძე

„სანამ საქართველოში ხელისუფლების სათავეში კვლავ დარჩებიან ე.წ. დემოკრატიული რევოლუციის მამები, ამერიკის მხრიდან ყოველგვარი სერიოზული დახმარება გამორიცხულია“

პირველი გვერდიდან

ჰქონდეს დასავლეთისა მანამ, სანამ თვითონ ქართველი ხალხი არ მიხვდება, თუ რა უნდა გააკეთოს და როგორ.

ვესაუბრე კონგრესმენ რობერტ დორნანს კალიფორნიიდან, რომელმაც გამაოცა საქართველოს პრობლემების ღრმა ცოდნით და აფხაზეთის პრობლემებზე ლაპარაკისას კი ხაზგასმით აღნიშნა,რომ იგი, აფხაზეთის ომი, თქვენ, ქართველებმა, თქვენივე უგერგილობის გამო წააგეთო, თუმცა იყო აფხაზთა მხარეს რუსების დახმარება, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო და თქვენ შეგეძლოთ ომის მოგებაო. ჩვენი საუბრის დასასრულს მან ინგლისურად ხმამაღლა შეჰყვირა: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“.

ამ კონფერენციის მსვლელობისას ასევე შეეხვდი პრეზიდენტობის მეორე კანდიდატს რესპუბლიკური პარტიიდან, ვირჯინიის გუბერნატორს ჯორჯ ალენს, პრეზიდენტ რეიგანის ყოფილ თანაშემწეს ედვინ მოზის, აგრეთვე სენატსა და კონგრესში რესპუბლიკური პარტიის უმრავლესობის წარმომადგენლებს.

ამ კონფერენციის შემდეგ მიმიწვია ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის საგარეო-პოლიტიკურმა ინსტიტუტმა, რომლის პრესტიჟზე ისიც მიუთითებს, რომ აქ მუშაობენ მსოფლიოში ცნობილი პოლიტოლოგები და პოლიტიკური მოღვაწენი ზბიგნევ ბზეჟინსკი, ფრენკ ფუკოიამა, ჩარლზ ფეირბანკსი. ეს უკანასკნელი ითვლება კავკასიის საუკეთესო მცოდნედ და წამყვან სპეციალისტად. სხვათა შორის, გავაკეთე ინტერვიუები ჩვენი ტელევიზიისთვის ბეჟინსკისთან და პოლ გობლთან, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის საუკეთესო მცოდნედ და წამყვან სპეციალისტად ითვლება და თავის დროზე ბუშის თანაშემწე გახლდათ ყოფილი საბჭოთა კავშირის საქმეებში.

ამ უნივერსიტეტში გამოვედით მოხსენებით მე, აზერბაიჯანელი პროფესორი ელშან ალეგბაევი და ამერიკელი პროფესორი ჩარლზ ფეირბანკსი. ჩვენი გამოსვლა მიეძღვნა მთლიანად კავკასიაში მიმდინარე პროცესებს, მე კი, რა თქმა უნდა, ფართოდ მიმოვიხილე საქართველოს დღევანდელი ვითარება. ამის შემდეგ ამერიკის პოლიტოლოგთა ასოციაციამ მიმიწვია პოლიტოლოგთა ყოველწლიურ შეხვედრაზე ნიუ-იორკში, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხუთიათასზე მეტი პოლიტოლოგი მონაწილეობდა.

აგრეთვე შეხვედრები მქონდა ისეთ გავლენიან ანალიტიკურ ცენტრებში, როგორიცაა „Heritage Foundation“, “Free Congress Foundation“ რესპუბლიკელთა საერთაშორისო ინსტიტუტში, ამერიკის კონსერვატიულ კავშირში. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკელებისა და რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის მოწვევით დავესწარი მთელ საარჩევნო კამპანიას, რომლის დროსაც ბედნიერება მქონდა შეეხვედრდი ისეთ პიროვნებებს, როგორიცაა ქ-ნი ჯეინ კირკპატრიკი, კონგრესმენი დანა რორობახერი, სენატორი ფილ გრემი, ასევე მქონდა ხანმოკლე შეხვედრა რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელებთან.

— უველაზე მეტად რომელი შეხვედრა იყო შთამბეჭდავი?

განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა დოქტორ ბზიგნევ ბზეჟინსკისთან, რომელმაც საქართველოში არსებულ სიტუაციაში ისევ ქართველები დაადანაშაულა და მთავარი, რასაც მან ხაზი გაუსვა, ეს არის ჯარი, რომელიც ასე სჭირდება საქართველოს და რის გარეშეც შეუძლებელია სახელმწიფოს მშენებლობა და რომ ყოფილიყო მცირერიცხოვანი, ორგანიზებული ჯარიც კი, რომელიც შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას აფხაზეთში, მაშინ სულ სხვა სურათი იქნებოდა იქ. მანვე აღნიშნა, რომ საქართველოში შეინიშნება რამდენიმე ფაქტორი, რომელიც უშლის ხელს სხვა გარემოებებთან ერთად სწორედ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობას. კერძოდ:

1) ქართველებს აკლიათ ეროვნული ერთიანობა, განსხვავებით სომხებისაგან და ბალტიისპირელებისაგან.

2) თქვენი ბურჟუაზია არის ძალიან ზარმაცი, რომელიც სტალინის პერიოდში, საბჭოთა კავშირში ცხოვრების დროს გადაეჩვია შავ სამუშაოს და მიეჩვია ზანტად ცხოვრებას, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა დღევანდელი საქართველოს მდგომარეობაზე. როდესაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა რუსეთისაგან და საჭირო გახდა ხელების დაკაპიწება და ასე ვთქვათ, შავი სამუშაოს შესრულებაც ეს თქვენთან არავინ ინდომა.

3) ქართველებს უყვართ ბევრი ლაპარაკი და საქმის ნაკლებად კეთება.

სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ფაქტორი მოაყოლა აფხაზეთის ამბებს, თბილისში მე ბევრი ლაპარაკი მესმოდა ჯარის შექმნაზე, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო, მაგრამ კონკრეტულად არაფერი გაკეთებულაო.

ჩემს შეკითხვაზე, დაეხმარება თუ არა დასავლეთი საქართველოს, მან მიპასუხა, რომ ზუსტად ასეთი კითხვა დამისვა ჩეხეთის პრეზიდენტმა, ვაცლავ ჰაველმა, რომელმაც ასეთნაირად მკითხაო: თუ დაეხმარება დასავლეთი ჩეხეთს იმ შემთხვევაში, თუ რუკკოი გახდება პრეზიდენტი, ჟირინოვსკი კი ვიცე-პრეზიდენტი. მე ვუპასუხეო, რომ ეს არ არის მართებული შეკითხვა. პირველ რიგში, თქვენ უნდა დიცვათ თქვენი თავი და დასავლეთმა თუ ნახა, რომ თქვენ შეგიძლიათ გარკვეული წინააღმდეგობის გაწევა და თავის დაცვა, მაშინ დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი თვითონ ეადაწყვეტს, რა სახის დახმარებას აღმოუჩენს ასეთ ქვეყანას. ამ შემთხვევაში საქართველოზე აღნიშნა, რომ თუ თვითონ ვერ შეძლებს თავის დაცვას, მაშინ ვერც დასავლეთი, ვერც ამერიკა ვერ დაეხმარება. მან მოიშველია პოლონეთის მაგალითი 80-იანი წლებიდან, როცა საბჭოთა კავშირს უნდოდა პოლონეთში ჯარით შესვლა, მაგრამ მათ ეს ვერ გაბედეს არა იმიტომ, რომ ისინი სუსტები იყვნენ პოლონეთთან შედარებით, არამედ მათ ნახეს პოლონელთა ერთიანობა და თავისუფლებისათვის ბოლომდე ბრძოლის ენინ. მან დასძინა, რომ ასეთი ენინის მქონე ხალხს ვერავინ ვერ მოერევა. უნდა აღვნიშნო, რომ მან რატომღაც თქვა: საქართველოს ბედი დამოკიდებულია ისეთი ქვეყნების ბედზე, როგორიცაა უკრაინა, ყაზაზეთი და თურქმენეთი. საუბრის დასასრულს მან დასძინა, რომ საქართველოს ერთადერთი იმედი შეიძლება ჰქონდეს იმისა, რომ მოვა ახალი აზროვნების ხალხი, რომელიც თავისუფალი იქნება მძიმე წარსულის მემკვიდრეობისაგან და იმედი გამოთქვა, რომ ახალგაზრდობა შეასრულებს ამ როლს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში.

— როგორია დღევანდელი ხელისუფლების და კერძოდ, შევარდნაძის იმიჯი დასავლეთში?

უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მათ აღნიშნეს,რომ საქართველოს ესენგეში შესვლის შემდეგ მათ თვალში შევარდნაძე ჩანს, როგორც პროორუსული პოლიტიკის მატარებელი.

ერთ-ერთმა ცნობილმა ინგლისელმა პოლიტოლოგმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს), რომელიც კონფერენციაზე კითხულობდა ლექციებს ყოფილი საბჭოთა კავშირის შესახებ, ასეთი რამ თქვა: შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლით საქართველოს დამოუკიდებლობის ამბავი უარყოფითად გადაწყდა.

როგორც მე ვიგრძენი, ბ-ნ შევარდნაძეს ჰქონდა გარკვეული ავტორიტეტი რესპუბლიკური პარტიის ლიბერალურ ნაწილში (ჯ. ბეიკერი, ჯ. შულცი), მაგრამ დღეს ფაქტიურად ეს პოლიტიკოსები აღარ წარმოადგენენ მოქმედ პოლიტიკოსებს, თუმცა მას (შევარდნაძეს) ინერციით გარკვეული ავტორიტეტი ჯერ კიდევ შერჩა დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ნაწილში.

აღსანიშნავია,რომ გაეროში შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ქალბატონმა მადელაინ ოლბრაიტმა რესპუბლიკური პარტიის მიერ კლინტონის ამჟამინდელი ადმინისტრაციისადმი რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ჯარების“ CHГ-ს ტერიტორიაზე თავგასულ მოქმედებასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების მიერ რუსეთის მიმართ წარმოებული უსუსური პოლიტიკის გამო წამოყენებული პრეტენზიების პასუხად,რომელზეც რესპუბლიკელები პასუხისმგებლობას დღევანდელ ადმინისტრაციას აკისრებენ (კერძოდ, ისინი სასტიკი წინააღმდეგნი არიან რუსეთის ჯარისთვის გაეროს ეგიდით პოსტსაბჭოთა სივრცეში სამშვიდობო მანდატის გაცემისა) გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ 15 სექტემბრის ნომერში დაისტამბა ევანსისა და ნოვაკის გახმაურებული წერილი, რომელიც ჩემი იქ ყოფნის პერიოდში გამოქვეყნდა და სადაც ოლბრაიტმა მიუთითა იმაზე, რომ „ედუარდ შევარდნაძემ თვითონ მოიწვია რუსეთის ჯარები ე.წ. სამშვიდობო მისიით საქართველოში“.

— როგორ ეკიდებიან ამერიკის ოფიციალური წრეები საქართველოში ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებს. როგორია რეაგირება მათი მხრიდან?

სენატში არის ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს სენატორი დენის დეკონსინი არიზონიდან. ამ კომისიაში გადმომცეს ხუთამდე დოკუმენტი საქართველოში ადამიანის უფლებების შელახვის შესახებ. შეეხვდი კომისიის წევრებსაც, რომელთაც აღნიშნეს, რომ სანამ საქართველოში ხელისუფლების სათავეში კვლავ დარჩებიან ე.წ. „დემოკრატიული რევოლუციის“ მამები, ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამორიცხულია ყოველგვარი სერიოზული დახმარების გაწევა და მათ მშვენივრად უწყიან საქართველოს სიტუაცია და შეიძლება ითქვას, მთელი დოსიე აქვთ იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ გადატრიალებაში. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში იგრძნობა იმ ადამიანთა სერიოზული მუშაობის შედეგი, რომლებიც საქართველოდან რეგულარულად აწვდიან კომისიის წევრებს ინფორმაციებს აქ მიმდინარე პროცესებზე და უგზავნიან დოკუმენტებსაც საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა ფაქტზე.

ჩემი იქ ყოფნის პერიოდში ჩამოვიდა ქუთაისის მერი ბ-ნი თემურ შაშიაშვილი, რომელსაც შეხვედრები ჰქონდა იქაურ პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან და უნდა ითქვას, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა მათზე.

ხაზი უნდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ იქ იგრძნობა ინფორმაციის სიმწირე საქართველოს შესახებ, მათ უნდათ იცოდნენ, თუ რა ხდება ჩვენთან, რა პროცესებია, რა კეთდება ეკონომიკური რეფორმების მხრივ და ა.შ.

იქ ყოფნისას გავიგე - ერთი ასეთი, მეტად საგანგაშო ამბავი: ამერიკაში ყოფილან ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის ელჩი და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი,რომლებიც მეტად აქტიურ მუშაობას ეწევიან იქ. სანდო წყაროებიდან გავიგე, რომ ამერიკაში რუსეთის დიპლომატიურმა წრეებმა უკვე დაიწყეს კონგრესში ნიადაგის მოსინჯვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა რეაქცია ექნებოდა შეერთებულ შტატების მთავრობას აფხაზეთის სტატუსის შესაძლო შეცვლასთან დაკავშირებით. დამეთანხმებით, რომ ყველაფერი ეს დისონანსში მოდის დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების ძიერ წარმოებულ, პრორუსულ პოლიტიკასთან, რომელიც გაუგებარი რჩება დასავლეთში.

ესაუბრა
სერგო ჯანაშია

აპოლიტიკურობა ანტიდემოკრატიულობაა!

დღეს, როცა ქვეყანა უმძიმესი და უღრმესი კრიზისებითაა მოცული, ბუნებრივია შემდეგი კითხვაც: რაა ყოველივე ამის მიზეზი? ამ კითხვაზე არ შეიძლება არსებობდეს ცალსახა პასუხი, რადგანაც ეს სიძნელეები ერთი მიზეზიდან არ მომდინარეობენ. მრავალთაგან ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უნდა იყოს კომუნისტური ტოტალიტარული მსოფლმხედველობის მიერ ათეულიწლების განმავლობაში ჩვენი ცნობიერების დამახინჯება. ამ ხნის განმავლობაში კომუნისტურმა მსოფლმხედველობამ დაანგრია, უკეთეს შემთხვევაში, გაამრუდა მეცნიერისა თუ მწერლის, ხელოვანისა თუ ინჟინრის, მუშისა თუ გლეხის ცნობიერება. ყოველგვარი ტოტალიტარული მსოფლმხედველობით შერყვნილი ცნობიერება კი მოკლებულია ნოვატორობას, ორიგინალობას, არაორდინალურ სიტუაციაში სწორი არჩევანის გაკეთების უნარს და ა.შ.

აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით გამჟღავნდა ბოლო ოთხი წლის ქართულ სინამდვილეში. შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, მთლიანობაში ერის ინტელექტუალურმა ნაწილმა ვერ გამოიჩინა სათანადო პასუხისმგებლობა მასზე დაკისრებული მოვალეობისადმი. მაშინ, როცა საჭირო და აუცილებელი იყო მთელი ძალისხმევა სწორი ორიენტაციისათვის, ერის ინტელექტუალური ნაწილი არსებითად საერთო დინებას მიყვა, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი ქვეყნის მმართველობაში პოსტკომუნისტების დაბრუნების შემდეგ. პოსტკომუნისტები კი, მოგეხსენებათ, იმათი მემკვიდრეებია, ვისაც ურუსეთოდ სუნთქვაც კი ვერ წარმოუდგენიათ. მოკლედ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: თავის დროზე კომუნისტური იდეოლოგიით დადამბლავებულმა ცნობიერებამ თავისი გააკეთა და ქვეყანა, რომელმაც 1991 წლის 26 მაისს ხმა მისცა დამოუკიდებლობას, სამი წლის შემდეგ ასეთივე ენთუზიაზმით მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის ნებაყოფლობით დაკარგვას — დსთ-ში გაწევრიანებას. რაოდენ სამწუხაროა, რომ 1994 წლის 1 მარტის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სესიის სხდომაზე ამ წინადადებას მიმართნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერნი და ხელოვანნი, სწორედ ისინი, ვინც სამი წლით ადრე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ავანგარდში იმყოფებოდნენ.

თუკი ზოგიერთმა ქვეყნისათვის კრიტიკულ ჟამს ვერ გამოჩინა სათანადო პრინციპულობა და თანმიმდევრულობა (აღარაფერს ვამბობთ იმათზე, ვისაც დიდი ხანია სული ეშმაკს აქვთ მიყიდული და ყველა დროს და ყველა სიტუაციაში თავს კარგად გრძნობენ), ერის ინტელექტუალური ნაწილის მეორე ჯგუფმა ამ დროს დუმილის ანუ პოლიტიკისაგან განზე დგომა ამჯობინა. რა თქმა უნდა, ვერც ეს პოზიცია წაადგებოდა ქვეყანას სასიკეთოდ და ფაქტობრივად ამ ნაწილის პასიურობამაც დიდად განაპირობა ის, რომ ხელ-ფეხი გაეხსნათ კომუნისტებს, პოსტკომუნისტებს, თუ კიდევ სხვა ჯურის მედროვეებს.

ვიკითხოთ: რა მოხდა, რატომ აირჩია პასიურობის გზა ერის შედარებით შეურყვნელმა ინტელექტუალურმა ნაწილმა? ვფიქრობ ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მათში იმთავითვე მყარად გამჯდარმა მცდარმა განწყობამ პოლიტიკაში ჩაურევლობაზე — „პოლიტიკურობამ. აპოლიტიკურობა კი, როგორც ეს უტყუარად ირკვევა, საბოლოოდ ანტიდემოკრატიულობამდე მიგვიყვანს. ეს საკითხი შესანიშნავად აქვს ნაჩვენები გამოჩენილ გერმანელ მწერალს თომას მანს წერილში — „კულტურა და პოლიტიკა“ („ლიტერატურული საქართველო“, 24 ივნისი, 1994. გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა).

თომას მანი წერილში მადლობას სწირავს თავის „კეთილ გენიას“, რომლის მეშვეობითაც მან თავი დააღწია კონსერვატიზმს, როცა ის სულ სხვა თვალით უყურებდა პოლიტიკას (მწერალს მხედველობაში აქვს თავისი ნაწარმოები „პოლიტიკური კაცის დაკვირვებანი“, სადაც იგი განადიდებდა მისტიკას, ინსტინქტებს, ომს, მონარქიას და ა.შ. ეს პოზიცია მან საბოლოოდ დაძლია. იხ. ნ. კაკაბაძე, „თომას მანი“, თბ; 1973, გვ. 75-77).

ხსენებულ წერილში თომას მანი აჩვენებს, რომ აპოლიტიკურობას საბოლოოდ ანტიდემოკრატიულობამდე მივყავართ. მისი აზრით, აპოლიტიკურობამ, მეტიც, პოლიტიკის აბუჩად აგდებამ ფაქტობრივად განსაზღვრა მაშინდელი გერმანიის მდგომარეობა — დამმონებელი ხელისუფლების განმტკიცება, გესტაპოს ექვსწლიანი ბატონობა (წერილი 1939 წელსაა დაწერილი). საერთოდ ის მდგომარეობა, რაშიც იმ დროის გერმანია და გერმანელი ხალხი აღმოჩნდა, თომას მანს მიაჩნია პოლიტიკისადმი ბიურგერული გერმანიის ზედაპირული და ზერელე დამოკიდებულებით, რამაც მწვანე შუქი აუნთო გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმს.

თომას მანის აზრით — ის ვინც ფიქრობს, რომ აპოლიტიკურობით პოლიტიკას გაექცევა, მწარედ ცდება: „სულის ეს უარი სწორედაც რომ შეცდომაა და თავის მოტყუება; ამით პოლიტიკას ვერ გაექცევი, ამით მხოლოდ არასწორ მხარეს ამოჰყოფ თავს — და თანაც გულმხურვალედ. აპოლიტიკა ეს უბრალოდ იგივეა, რაც ანტიდემოკრატია და თუ ეს რას ნიშნავს და რა თვითმკვლელურად უპირისპირდება ამით სული ყოველგვარ სულიერს — უაღრესად მკვეთრად მძღავნდება ზოგ მძაფრ სიტუაციაში“.

ამ აზრს თომას მანი ერთ დიდ პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული მაგალითის ანალიზით ამაგრებს. ეს პიროვნება კი გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი არტურ შოპენჰაუერი გახლდათ. შოპენჰაუერის საყვარელი ანდაზა ყოფილა — „ყოველ ცისმარე მადლობას ვწირავ უფალს, რომ არ მჭირდება რომის საღმრთო იმპერიისათვის ზრუნვა“. რაკი ეს ანდაზა სახელმწიფოსაც მიესადაგება, ამის გამო იგი თომას მანს მიაჩნია ფილისტერობად, სილაჩრედ და დეზერტირობად. ამასთან დიდი მწერალი გაოცებულია იმით, თუ როგორ გაითავისა ეს ანდაზა შოპენჰაუერის რანგის მოაზროვნემ.

შოპენჰაუერის ასეთმა დამოკიდებულებამ პოლიტიკისადმი კი მისთვის მიუტევებელი და გამოუსწორებელი შეცდომა ჩაადინა. კერძოდ, 1848 წელს, როცა ბერლინელ ოფიცერი ათვალიერებდა ბარიკადებზე მყოფ აჯანყებულებს — სწორედ იმათ, ვინც გერმანიის უკეთესი მერმისისათვის ოცნებობდნენ, შოპენჰაუერმა ოფიცერს საკუთარი საოპერო ჭოგრიტი გადასცა დემონსტრატიულად, რათა ჯარისკაცებს ზუსტად ამოეღოთ მიზანში აჯანყებულები. ყველაფერი ამის მიზეზი კი გახლდათ პოლიტიკისადმი შოპენჰაუერის მხრიდან მცდარი დამოკიდებულება.

დიდი მწერლის ამ წერილში გატარებული ძირითადი აზრის ძალა ისაა, რომ იგი არამხოლოდ გერმანულ სინამდვილეს და არამხოლოდ გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმს და სხვა მსგავს მოვლენებს მიესადაგება; აქ ის აზრიც იკითხება, რომ დიდ მოაზროვნეს, დიდ მწერალს, დიდ ხელოვანს უფლება არა აქვს პოლიტიკისადმი ნეიტრალური დარჩეს, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება კრიტიკულ ჟამს საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ამით იგი პოლიტიკას მაინც ვერ გაექცევა, სამაგიეროდ, როგორც კი შესაფერისი სიტუაცია დადგება, სწორედ თავისი აპოლიტიკურობის გამო, თომას მანის სიტყვებით თუ ვიტყვით — ანტიდემოკრატიულ ნაბიჯს გადადგამს და არასწორ მხარეს აღმოჩნდება! სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ქართულმა სინამდვილემ ამ აზრის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი გვიჩვენა და თუ ახლა არ ვასახელებთ მავანთა კონკრეტულ გვარებს, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში უპირველესად თვით ეს ტენდენციაა უფრო დამაფიქრებელი და აღმოსაფხვრელი, ვიდრე კონკრეტულ პიროვნებათა ქმედებანი.

მიხეილ მახარაძე

კატა ვერ მისწვდა «კალბასსო», პარასკევია «კაკრასო»

ინფორმაცია პარტიების პოლიტიკურ კლუბში შეხვედრიდან

გასულ კვირას პოლიტიკურმა კლუბმა დიალოგისათვის მიიწვია საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მოქალაქეთა კავშირი და ტრადიციონალისტთა კავშირი, შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ტრადიციონალისტთა კავშირისა და მოქალაქეთა კავშირის ლიდერები. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ლიდერები სხდომაზე არ მივიდნენ, რამაც იქ დამსწრე საზოგადოების სინანული გამოიწვია.

სხდომა გახსნა პოლიტიკური კლუბის წევრმა ფიქრია ჩიხრაძემ, რომელიც მიესალმა შეკრების მონაწილეებს და სინანულით აღნიშნა, რომ გარკვეული მოსაზრებით ამ შეკრებას არ ესწრება რესპუბლიკური პარტია. მან ხაზი გაუსვა, რომ არჩევნები როცა თითქმის კარზეა მომდგარი, საჭიროა სოლიდური პარტიების მიერ ზეპარტიული პრინციპების გამორჩევა და შემდეგ ამ პრინციპებზე შეთანხმება. ჩემი აზრით, თქვენი პარტიები მემარჯვენე ძალებს წარმოადგენს და ჩვენი მიზანია შეიქმნას მემარჯვენე ძალთა საკონსულტაციო საბჭო.

პოლიტიკური საბჭოს წევრმა თედო ისაკაძემ აღნიშნა, რომ პოლიტიკური კლუბები მსოფლიოს ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაშია, სადაც პარტიებს ეძლევათ საშუალება ერთმანეთთან კონტაქტებისა და საუბრების.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გ. ჭანტურიამ მადლობა გადაუხადა შეხვედრის ინიციატორებს და ხაზი გაუსვა, რომ აქ წარმოდგენილი პარტიები მართლაც მემარჯვენეობის პრინციპით არიან შერჩეულნი, ფაქტიურად ჩვენ ცენტრისტული პარტიები ვართ, ვინც საერთო პრინციპებზეა

1. საკუთრებისადმი დამოკიდებულებით.

2. ზოგადი პოლიტიკური სტრატეგიის საკითხებში, რომ პოლიტიკა პარტიებმა უნდა წარმართონ და არჩევნები უნდა იყოს პროპორციული, ანუ პარტიული სიებით.

3. სახელმწიფოებრიობისადმი მიდგომის საკითხში, ქართული სახელმწიფოს არსებობის მომხრეობით ანუ დამოუკიდებლობის საკითხში ერთსულოვნებით.

დღევანდელი არჩევნები ეს არის პოლიტიკური ცხოვრების და საერთოდ პარტიების მარცხი, ამიტომ ჩვენსა და ქვეყნის ინტერესებშია დავამკვიდროთ პროპორციონალური პოლიტიკური არჩევნების სისტემა. ჩვენ მომხრე ვიყავით ინტელიგენციის გააქტიურების, მაგრამ ინტელიგენტთა პარტიის, მუშათა პარტიის თუ გლეხთა პარტიის ცალ-ცალკე შექმნის მომხრე არა ვართ. ინტელიგენცია უნდა გადანწილებულიყო სხვადასხვა პარტიებში, თორემ მაჟორიტარული სისტემა თუ მოგვახვიეს თავს, მაშინ მომავალი პარლამენტი ბევრად უარესი იქნება, ვიდრე დღევანდელი.

მოქალაქეთა პარტიის ლიდერმა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა: პარტიებს შორის კონსულტაციები პოლიტიკურ კულტურაზე მეტყველებს, რაშიც მადლობას ვუხდით პოლიტიკურ კლუბს. დღეს მართლაც მძიმე ვითარებაა. ეკის რაიონში არჩევნები პარტიული ცხოვრების მარცხი იყო. მაშინ, როცა ყველა უბანში იმარჯვებდა ცქიტიშვილი, წყნეთის უბანში მაშველთა კორპუსი აკონტროლებდა საარჩევნო კომისიას, იქ არ მიუშვეს სხვა პარტიების წარმომადგენლები, მეთვალყურეები და პრესის მუშაკები. მოხდა დარღვევები და ჩვენი მონაცემებით რამდენიმე ათასი ბიულეტენი ჩაყარეს ბეგიაშვილის ასარჩევად. იმ პრინციპებს, რაზეც აქ იყო საუბარი, ჩვენ ვეთანხმებით და მხარს ვუჭერთ.

ტრადიციონალისტთა ლიდერმა ბატონმა აკაკი ასათიანმა ბრძანა — პოლიტიკას აქვს თამაშის წესები და ჩვენ ჩვენი გამოუცდელობით მას რომ არ ვიცავდით, სწორედ ამიტომ ვართ ამ დღეში. მაჟორიტარულობა დიდ საფრთხეს მოიცავს, ამიტომ პოლიტიკური კეკლუცობის და არშიყობის დრო არ არის, რადგან შესაძლოა ეს იყოს საერთოდ ქვეყნის დალუპვის ბოლო ეტაპი. გაურკვევლობა და ქაოსი ანგრევს ქვეყანას, ამიტომ იმ პრინციპების გარშემო, რომლებზეც აქ იყო საუბარი, უნდა ვითანამშრომლოთ და ურთიერთობა უნდა „გვქონდეს ერთმანეთთან. შემდეგ სიტყვით გამოვიდა ბატონი ირაკლი ბაბიაშვილი — მინდა მოგახსენოთ, თუ რა შინაარსი დევს ამ შეხვედრაში, მანამდე მინდა განვსაზღვრო ძირითადი მომენტები, რომელიც ჩვენს ქვეყანაში აღინიშნებაო: ა) ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშეა ქვეყანა, ეს ყველაზე უკეთ გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ სახელმწიფოებრივი იდეის მქონე სოლიდურ პარტიებს, რომლებადაც თქვენ გთვლით. ბ) ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობა, საბაზრო ეკონომიკის პრიორიტეტებით გ) კრიმინალურ-მაფიოზური ძალების წარმოჩენა და კრიმინალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მიზანი, მაფიისგან ხელისუფლების განიავისუფლება, რომელიც არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურებში ისე არ მძლავრობს, როგორც ჩვენთან დ) გამოკვეთილი პოლიტიკური სტრატეგიის არქონა პარტიებში, კურსი სახელმწიფოებრიობის შესუსტებიდან მისი განმტკიცებისაკენ ე) საქოქალაქო თანხმობა, რაც პოლიტიკური სტაბილურობის და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საფუძველია ვ) მემარჯვენეობა, როგორც ორიენტაცია საბაზრო რეფორმებზე და მტკიცე სახელმწიფო მშენებლობაზე.

ყველა ამ ორიენტირებზე გვსურს შეიქმნას პოლიტიკურ პარტიათა საკონსულტაციო ან საკოორდინაციო ცენტრი.

საწყუხარია, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ მონაწილეობა არ მიიღო ამ შეხვედრაში, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ თქვენი პარტიები გარკვეულ პრინციპებზე შეთანხმდებიან და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებს ერთობლივი ძალით გადაწყვეტენ.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ იკითხა — რა წესით იმუშავებს აღნიშნული ცენტრი, ყალბი კოორდინაციის მომხრე არა ვართო. ამასთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი ჭანტურიამ აღნიშნა, რომ ჩვენ შეიძლება შევთანხმდეთ გარკვეულ საკითხებში, რომლებიც ყველასათვის მისაღებია და ერთად დავიცვათ ჩვენი პრინციპები, თორემ ეს არის ბოლო შანსი ქვეყნის ნორმალური პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრებისა. ჩვენ რიგგარეშე არჩევნები გვსურდა მდგომარეობის გამოსასწორებლად, შემდეგ კოალიციური მთავრობის შექმნის საკითხიც დავაყენეთ, მაგრამ შევარდნაძის მხრივ მხარდაჭერა ვერ ვნახეთ. ამჟამად სამ საკითხში მაინც შეიძლება შევთანხმდეთო. ეს არის: 1. რეფორმების მხარდაჭერის საკითხში; 2. კრიმინალური მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბრძოლაში; 3. რუსეთის ბაზების საკითხში. იგი უკანასკნელი სავაჭრო საგანია და აფხაზეთს თუ არ დაგიბრუნებენ, ისე მის დათმობაზე ლაპარაკიც არ უნდა იყოსო.

სხდომაზე ყველა დაეთანხმა თავისუფალი პრესისა და ჟურნალისტებისათვის მხარდაჭერის აუცილებლობას და დიალოგში მონაწილე პარტიების ლიდერებმა ხელი მოაწერეს პოლიტიკური კლუბის მიერ შეთავაზებულ პრესის მხარდაჭერ განცხადებას.

ბოლოს სხდომა ჟურნალისტებისათვის დახურულად გამოცხადდა და ჟურნალისტებმა პოლიტიკური კლუბის წევრებთან ერთად ცალკე გამართეს დიალოგი თავისუფალი პრესის პრობლემებზე. გადაწყდა, რომ ამ პრობლემებზე შეხვედრები კვლავაც გაგრძელდეს და გამოითქვა სურვილი, რომ მაღში ჩაერთონ პოლიტიკური პარტიებიც.

P.S. შეკრების დასასრულს ადგილი ჰქონდა მრავალმნიშვნელოვან მახვილსიტყვაობას. მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ბატონმა ჟვანიამ ერთ მომენტში თქვა, რომ მოქალაქეთა კავშირმა მთავრობაში მოხვლა გადაწყვიტა საკუთარი გუნდით მაშინ, როცა პარლამენტში აგვირჩევენო. მანამდე კი ჩვენ თავს ვიკავებთ მთავრობაში თანამდებობებზე მოხვლისაგან, რაზეც ბატონმა ჭანტურიამ რეპლიკა ესროლა ბატონ ჟვანიას, აბა, მამალაძის ქვემო ქართლის გუბერნატორად აღზევება რას ნიშნავსო, ასე რომ თქვენზეა ნათქვამი ერთი გამოთქმა ესენგურ სტილში: კატა ვერ მისწვდა კალბასსო, პარასკევია „კაკრასო“.

ისე ჩვენი მხრიდან შეიძლება იმის დამატება, რომ თანამდებობისკენ ლტოლვა ნაკლებად არ აქვთ განვითარებული ეროვნულ დემოკრატებსაც. კოალიციური ხელისუფლების შექმნის სურვილი პრორუსული ორიენტაციის მქონე ძალებთან ერთად მათ კარგა ხანია გააჩნიათ, თანაც მაშინ, როცა კარგად უწყიან, რომ მინისტრის რამდენიმე პორტფელის ხელში ჩაგდება ქვეყნის პოლიტიკურ კურსს ოდნავადაც ვერ შეცვლის და საქართველო საკუთარი სუვერენიტეტის თანდათანობით დაკარგვის სნგ-ურ ორბიტაზე კვლავაც გეგმაზომიერად იმოძრავებს.

გ. თბილელი

რუსეთის საჯაშუშო სამსახურის ხელმძღვანელი გაფრთხილებას აძლევს დასავლეთს: არ გაეწიოს წინააღმდეგობა საბჭოთა რეინტეგრაციას

მოსკოვი, 21 სექტემბერი — რუსეთის უცხოური ინფორმაციის სააგენტოს მეთაურმა გაფრთხილება მისცა დასავლეთს, რომ არ შეუშალოს ხელი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეინტეგრაციას. ევგენი პრიმაკოვმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა დასავლეთთან ერთად ინტეგრაციის საკითხების გადაჭრაში. იგი თვლის, რომ არის ძალა, რომელიც არ იქნება მოხარული იხილოს რუსეთი გაძლიერებული და დიად სახელმწიფოდ. პრიმაკოვმა აღნიშნა, რომ ნებაყოფლობითი რეინტეგრაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის არის აუცილებელი ანუ გარდუვალი. ყოველივე ამის მიუხედავად დასავლეთი წინააღმდეგობას გაუწევს ნებაყოფლობითი რეინტეგრაციის ეტაპებს. დასავლეთი წინააღმდეგობას იმპერიალიზმის აღორძინება-გამოცოცხლებისა, რადგან ეს გამოიწვევს კრიტიკულ და კონფრონტაციულ დამოკიდებულებას მათ შორის. პრიმაკოვმა თავის მოხსენებაში მიაწოდა კონფერენციას ახალი გადასაჭრელი პრობლემები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც განიხილეს ბორის ელცინისა და პრეზიდენტ კლინტონის უმაღლესი შეხვედრისას ვაშინგტონში.

პრიმაკოვი, რომელიც დიდი ხანი თამაშობდა საბჭოთა კავშირის უცხოურ პოლიტიკაში ელცინის ადმინისტრაციული მმართველობის დროს, ჩაიბარა, უფრო ადრე, მისი საგენტო განთავისუფლდა იმ მოხსენებისგან, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ნატო-ს გაფართოებას აღმოსავლეთ ევროპაში.

რუსეთის ჯარი საკმაოდ გაიზარდა და აქტიური გახდა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. სამშობლოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგატმა განაცხადა, რომ რუსეთი არ აღიარებს 7 ბილიონ დოლარს, სადაც წილი აქვს აზერბაიჯანს უცხოური ნავთობის კომპანიებთან. რუსეთი ცდილობს გამოიყენოს თავისი მეზობელი ქვეყანა ბაკურბაიჯანი, და სარგებლობა მიიღოს კასპიის ზღვის ნავთობით და ამავე დროს იგი ყოველგვარ პასუხისმგებლობას თავიდან იცილებს.

„ვაშინგტონ პოსტი"
ევგენი არიმაკოვი
22 სექტემბერი 1994 წელი
მოამზადა
ქეთი დავლიანიძემ

წელიწადნახევრის უკან სოხუმის დაცემის შემდეგ სხვადასხვა შენაერთები და მოხალისედ წასული ჯარისკაცები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ქალაქი. დრო არ იყო მომზადებულიყვნენ, დროზე აეკრიფათ თავიანთი ნივთები და თავი ეხსნათ დაბომბვებისა და ბოევიკებისაგან. მათ ჰქონდათ ორი გზა: ერთი გალის რაიონიდან დასავლეთ საქართველოსკენ, მეორე კი სვანეთის უღელტეხილისკენ. რაც შეეხება ლტოლვილებს, მათ არ ჰქონდათ არც თბილი ტანსაცმელი, არც საკვები. უღელტეხილზე დატრიალდა ტრაგედია. ნაცნობ ჟურნალისტებს ერთი კვირა დასჭირდათ ამ გზის გასავლელად. გზაზე რჩებოდნენ ავადმყოფები და მოხუცები. მათი შველა შეუძლებელი იყო. დახმარების მცდელობა უკრაინისა და რუსეთის ვერტმფრენებით დიდ შედეგს არ იძლეოდა. უღელტეხილი იმდენად მიხვეულ-მოხვეული იყო, რომ ხალხის ევაკუაცია არ ხერხდებოდა, ხოლო პროდუქტი და დახმარების საგნები ხშირ შემთხვევაში ვერტმფრენიდან გადმოგდების დროს ხრამში იკარგებოდა.

ზემო სვანეთის რაიონი გამოცხადდა უბედურების ზონად. მიუხედავად ამისა, დაიღუპა ბევრი ადამიანი და უგზო-უკვლოდ დაიკარგა, რომელთა შესახებაც არაფერი არ არის ცნობილი.

სვანეთისკენ ყველა არ წასულა. რამოდენიმე ასეული მცხოვრები გამაგრდა კოდორის ხეობაში. მათ უკან დარჩათ 64 კილომეტრი აფხაზების მიერ დაუკავებელი მიწა, ხოლო მათ თვალწინ კი იფერფლებოდა მათი ქალაქი. დადგა ის მომენტი, რომ ისინი უნდა გამხდარიყვნენ პარტიზანები. ისინი ხეობაში დაბინავდნენ, შექმნეს შტაბი სკოლის შენობაში და შეიმუშავეს თავდაცვის სქემა. მინიმუმი — ბრძოლა გაეწიათ აფხაზებისათვის კოდორის ხეობაში, მაქსიმუმი — დაებრუნებინათ აფხაზეთი.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, სვანებმა ლტოლვილები გულთბილად მიიღეს. მათი ინტერესი ერთი იყო, არ დაცემულიყო კოდორის ხეობა. მათ თვალებში საკმარისი იყო ჩაგეხედათ, რომ ამოგეკითხათ „მე აქედან არ წავალ". ეს გასაგებიც იყო. როგორი დასატოვებელი იყო კოდორის ულამაზესი ხეობა თავისი ანკარა წყლით, რომელიც სავსეა კალმახით და მრავალფეროვანი ბუნებით. სვანებს აქვთ დიდი სახლები და ჰყავთ 30—40 სულის საქონელი, რამოდენიმე ოჯახს ასეულობით საქონელიც ჰყავს. უმთავრესად მოჰყავთ კარტოფილი, ხილი და ბოსტნეული. ისინი თავიანთ თავს უზრუნველყოფენ ყველაფრით, გარდა შაქრის, წამლისა და თამბაქოსი. ასე რომ, მოწყვეტილი რომ იყვნენ ქვეყნიდან, კოდორის ხეობის მცხოვრებლები მაინც არ დაიღუპებიან.

მეზობლური გარჩევა

ლტოლვილების დაბრუნება დაყოვნდა, რის გამოც შემოიყვანეს საქართველოში მაისის თვეში რუსეთის სამშვიდობო ძალები. აფხაზეთის მთავრობა პირობას იძლევა განიხილოს კვირაში 60 ანკეტა. ლტოლვილად ითვლება 300000 ადამიანი, თუ ასე გაგრძელდა, დაბრუნების პროცესი ას წელს გასტანს. რუსეთისათვის მნიშვნელოვანია მშვიდობიანობის დამყარების მცდელობა წარმატებით დასრულდეს. ამის გარდა, იწელება მოლაპარაკება, რათა რუსეთმა შექმნას სამხედრო ბაზები საქართველოში, რომელმაც უნდა დაასრულოს აფხაზეთის კონფლიქტი. აფხაზეთის მხარე მოლაპარაკებისას წარმოაჩენს სულ სხვადასხვა პრობლემას ლტოლვილების დაბრუნებასთან დაკავშირებით. 14 მაისის მოლაპარაკების მიხედვით კოდორის ხეობიდან ქართული ჯარების გამოყვანა აფხაზეთის ფარგლებს გარეთ უნდა განხორციელდეს უახლოეს ხანებში. ერთდროულად კოდორის ხეობაში ორგანიზებული იქნება რეგულირებული მეთვალყურეობა სამშვიდობო ძალებისა და საერთაშორისო დამკვირვებლებისა. დღევანდელი დღისთვის ყველა მოთხოვნა შესრულებულია. პირველი სამშვიდობო ასეული ხეობაში ავიდა ივნისში, ხოლო ოქტომბერში იყო გატარებული სამხედრო ინსპექცია საქართველოს, აფხაზეთის, რუსეთისა და გაეროს დამკვირვებლების მონაწილეობით. მათ ვერ აღმოაჩინეს აღნიშნულ ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები. სამაგიეროდ აღმოაჩინეს შვიდი ერთეული საბრძოლო ტექნიკა და სამი ჰაუბიცა. მართალია გატეხილი და საბრძოლო მოქმედებისათვის გამოუსადეგარი, რომლებიც კომისიამ ააფეთქა. თითქოს ქართულმა მხარემ ყველაფერი გააკეთა ლტოლვილების დასაბრუნებლად, მაგრამ აფხაზეთის მხარემ თავისი თავი დაკმაყოფილებულად ვერ იგრძნო და წამოაყენა ახალი მოთხოვნა, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდა დაეტოვებინათ კოდორის ხეობის ტერიტორია, შემდგომ შევიდოდა აფხაზეთის ადმინისტრაცია, რომელიც შეამოწმებდა „ბორიგენების" ანკეტებს. მათ უნდა მიეცათ დაბრუნების უფლება მათთვის, ვისაც კონფლიქტში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული. ამის უფლება კი აფხაზებს არ ჰქონდათ, რადგანაც აფხაზეთი ცალკე სახელმწიფოს არ წარმოადგენს. ის საქართველოს ერთ-ერთი ნაწილია. ნათელია, რომ აფხაზეთს არ უნდა ლტოლვილების დაბრუნება, მაგრამ მათ სხვა გზა არ ექნებათ მაშინ, როდესაც მოლაპარაკება ჩიხში მოექცევა. ამავე დროს, ეს მოლაპარაკება შეიძლება წარმატებით გამოიყენონ კოდორის ხეობის დასაბრუნებლად, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს აფხაზეთისათვის, საქართველოსათვის და რუსეთისათვის.

და წავლენ კონფედერატები შავი ზღვისკენ

აფხაზეთის მხარე ვერასოდეს დაიძინებს მშვიდად, სანამ ზურგში ეყოლება გაუკონტროლებელი ტერიტორია. თან ისეთი, როგორიცაა კოდორის ხეობა, რომელსაც თავისი ბუნება ხელს უწყობს, რათა რომელიმე მოსახვევში გამაგრდეს რამოდენიმე კაცი და თავი დაიცვას თვეების განმავლობაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ ხეობაში საიდანმე მოხვდება მძიმე ტექნიკა, სავსებით შესაძლოა სოხუმზეც შეტევა, რომელიც შეიძლება საქართველოს რეგიონით დამთავრდეს. საიმედო წყაროებზე დაყრდნობით, საქართველოს არ გააჩნია აფხაზეთზე თავდასხმის გეგმა. მათ რომ ეს სურდეთ, ისინი თავს დაესხმოდნენ მაისამდე, სანამ სამშვიდობო ძალები შეავიდოდნენ აფხაზეთში. „ჩვენ გვინდა ყველაფერი გადაწყდეს მშვიდობიანად, ჩვენ არ გვინდა ახალი ომი" — ამტკიცებენ საიმედო წყაროები. სინამდვილეში, ორი წლის განმავლობაში საქართველოს არც ერთხელ არ დაურღვევია თავისი პირობა. აფხაზური მხარის განსხვავებით, რომლებიც წყნარად იცდიდნენ, სანამ მიმდინარე მოლაპარაკებებზე ქართველებმა მიღებული შეთანხმების შედეგად გაიყვანეს თავისი ჯარი და მძიმე ტექნიკა, ხოლო შემდეგ უიარაღოდ გმირულად იცავდნენ გაგრას და სოხუმს.

თუ კოდორის ხეობიდან ადგილობრივ მცხოვრებლებს გამოაძევებენ თავის საცხოვრებელი სახლებიდან და სამშვიდობო ძალები კვლავ პასიურობას გამოავლენენ აფხაზების მიერ დარღვეული შეთანხმების მიმართ, მაშინ შეძრწუნებული ხალხის ტალღა მიიღებს უკონტროლო ხასიათს. თეორიულად რუსეთი არ შეიძლება დარჩეს უმოქმედო კოდორის ხეობის ბედისადმი. ხეობიდან სვანეთის გზით არის კიდევ ერთი გასასვლელი. დაახლოებით ნახევარ წელიწადში შეიძლება გაკეთდეს კარგი, საიმედო გზა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ზამთარშიც, კოდორის ხეობისაგან განსხვავებით. ეს გზა ყაბარდო-ბალყარეთისკენაა მიმართული, სხვა სიტყვებით, რუსეთისაკენ. რისთვის იქნება გამოყენებული ეს გზა და რა ტვირთი გაივლის ამ გზით, დამოკიდებულია მომავალ გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე. მაგალითად, შეიძლება შეიტანონ იარაღი ან შეიყვანონ მებრძოლები ჩეჩნეთიდან აფხაზეთში, ან პირიქით აფხაზეთიდან ჩეჩნეთში. ერთი სიტყვით, სამხრეთ რუსეთს გაუჩნდება პირდაპირი გზა ზღვისკენ და სტრატეგიული თვალსაზრისით რუსეთს კონტროლის ქვეშ ეყოლება ეს ტერიტორია.

მათი მისწრაფებაა აფეთქონ გზები

„მკ"-ს კორესპონდენტს მოუხდა შეხვედრა პარტიზანული რაზმის მეთაურთან კოდორის ხეობაში ზურაბ სამუშიასთან. მან კორესპონდენტს უამბო, თუ რა ხდება კოდორის ხეობაში — „პირველი რუსი მებრძოლები ხეობაში ამოვიდნენ ივნისში. 10 სექტემბერს თავიანთი პოზიცია ჩაიბარეს სოფ. ლათაში, იქ შევიდა 80 კაციანი რაზმი. მათმა მეთაურმა დადო პირობა, რომ მაღლა ხეობაში ისინი აფხაზებს არ შეუშვებდნენ და გააკეთებდნენ გზების ბლოკირებას. ჩვენ 45 კილომეტრით დავიხიეთ საკენისკენ, იმის იქით უკვე ალპური ზონა იყო. გადავედით ყაზარმულ მდგომარეობაზე და ავაფეთქეთ სოფელ ქვაბჩარასთან გზა, რათა თავი დაგვეხსნა თავდასხმისაგან. მოლაპარაკებებზე მოვიდა გენერალი კონდრატიევი. ჩვენ ყველა ვუმტკიცებდით, რომ გზის აღდგენა შეუძლებელი იყო. ის დაგვეთანხმა, ხოლო ერთი თვის შემდეგ გზა აღადგინეს. რა თქმა უნდა, რუსებმა. აფხაზებს ამის ტექნიკა არ გააჩნდათ. „შემდეგ ხეობაში შემოვიდა კიდევ ერთი რაზმი, ურალის ბატალიონი, შესანიშნავი ბიჭები. ჩვენ ისინი გავიცანით. ისინი დგანან აჟარაში, ეს აქვე ახლოსაა ჩვენთან. გადმოისროლეს ტექნიკა, თუმცა ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით. ეხლა ისინი აქ დარაჯობენ, აჟარასა და ქვაბჩარას შორის.

ყველაზე საშიშია, რომ აქ სამშვიდობო ძალებთან ამოდის აფხაზეთის პოლიცია, ნამდვილი ბოევიკები. ყველა სოფელი, რომლებიც ჩვენ დავტოვეთ, ფერფლადაა ქცეული. ისინი სპეციალურად წვავენ სახლებს, რათა ხალხს დასაბრუნებელი არ ჰქონდეთ. ჩვენ ხელახლა ავაფეთქეთ გზა, უკვე სოფელ ჩხალასთან. მას მაინც ადრე თუ გვიან აღადგენენ. ჩვენ ყველას ვუშვებთ ჩვენთან, ნახონ, რომ არანაირი ტექნიკა არ გვაქვს. აფხაზებთან რატომღაც არავინ არ მიდის და არ ამოწმებს არანაირი ინსპექცია, მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერაქ

კოდორ

„მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებრივ მასშტაბში

ხეობის მოუხელთებელი რისმაძიებლები ქედან არ წავალ“

ხედავად იმისა, რომ შესანიშნავად არიან შეიარაღებული და ტექნიკაც ბევრი აქვთ. რუსები კი... ისინი ხომ სამხედროები არიან, ბრძანებას შეასრულებენ. უბრძანებენ აფხაზების შემოშვებას — შემოუშვებენ, უბრძანებენ ძალადობას — მიეხმარებიან. ეს, ხომ ყველაფერი უკვე იყო. ჩვენ უკვე სამჯერ მოგვატყუეს და რუსებს ველარ ვენდობით. ივლისში ხელი მოვაწერეთ ცეცხლის შეწყვეტაზე სოხუმში, ტყვარჩელის მხრიდან კი გრადით დაგვბომბეს. სახლები დაინგრა, ერთი ადამიანი დაიღუპა. ახლახანს კი გვაჩვენეს საჩვენებელი გამოსვლა. ალფრინეს ჰაერში ვერტმფრენები, ისროდნენ, თითქოსდა მეცადინეობას გადიოდნენ აქვე, სოფელ საკენთან, რათა ჩვენ კარგად დაგვენახა.

„აქ ისეთი რელიეფია, რომ ჩვენ შეგვიძლია აფხაზი ძალების განადგურება, მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა. თუ ჩვენ ვესვრით რუსებს, ამით ჩვენი მტრები ხელს მოითბობენ. ჩვენ რატომღაც გვჯერა, რომ აფხაზეთში მშვიდობიანი გზით დავბრუნდებით, თუმცა ამაოდ.“

მდგომარეობა ხეობაში მართლაც რომ დაძაბულია. პარტიზანები მზად არიან ცეცხლი გახსნან პირველსავე სიგნალზე. აფხაზური მხარე კი აგროვებს ძალებს, რათა საქმე ხოლომდე მიიყვანოს და კოდორის ხეობიდან განდევნოს ყველა მცხოვრები, შემდგომ კი ცეცხლს მისცენ დარჩენილი სახლები. აშკამად კი ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევიან სამშვიდობო ძალები, ან ისინი გაყოფენ მხარეებს, ან ხელს შეუწყობენ აფხაზებს. საქართველოს მხრიდან რუსები კონტროლს აწარმოებენ აჟარამდე, რომლის ტერიტორიაზე არ არის არანაირი პარტიზანული რაზმი. აფხაზების მხრიდან სხვა სურათია. სამშვიდობო ძალები აკონტროლებენ სიტუაციას სოფელ ქვაბჩარამდე, იმის იქით დგას აფხაზეთის შენაერთები, ხოლო მათ შემდეგ ლათის რაიონში რატომღაც ისევ სამშვიდობო ძალები. ასეთი დისბალანსი ძალების განლაგებისა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოხდება გაუთვალისწინებელი შედეგები. აფხაზთა მხარე ცდილობს მოლაპარაკების პროცესის დარღვევას.

აი ანტრაქტიდაში ჯერ ჩვენ არ გვიომია

რუსეთმა დროა უკვე გამოიჩინოს თავისი „იმპერიული“ ძალა და ლტოლვილები დააბრუნოს. ასეთი მცდელობა უკვე იყო 14 სექტემბერს. სამშვიდობო ძალების გენერალმა კონდრატიევმა ჩასხა ავტობუსში ლტოლვილები, რომლებიც შეკრებილნი იყვნენ ენგურის ხიდთან, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო დაბრუნება არ მოხდა. კონდრატიევს ხიდის იქითა მხარეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და ლტოლვილები ვერ დააბრუნა. ეს წინააღმდეგობა იმდენად სერიოზული იყო, რომ მან აფხაზ მხარესთან ურთიერთობა გაიფუჭა. ამ ფაქტმა ერთი ახსნა გამოიწვია, რომ არძინბას იმდენად ძლიერი ძალა უდგას უკან, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ძალების ინტერესი არ დაემთხვა გენერალ კონდრატიევის ინტერესს.

სათანადო წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციით აფხაზეთმა ომი დაიწყო ორი ბეტეერით და ერთი „ბმპ“-ით. მათ მფრინავი არ ყავდათ. ერთი თვის შემდეგ 1992 წლის 1 ოქტომბერს მათ შტურმით აიღეს გაგრა, სადაც გამოყენებულ იქნა მრავალი ტანკი, აუბიცა, „ბმპ“. ბორის პასტუხოვმა იმავე დღეს ამცნო იმის შესახებ, რომ აფხაზებს უკვე ბაუჩნდათ „გრადის“ მოწყობილობები. კითხვაზე, საიდან, მან უპასუხა: „არ არის პრობლემა, მხოლოდ იყოს ფული“. საიდან აიღებდნენ აფხაზები ფულს, როცა ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთის ბიუჯეტში კაპიკიც კი არ იყო. რუსეთის უმაღლესმა საბჭომ 1992 წლის 25 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება, სადაც მხარს უჭერდნენ აფხაზეთს. ელცინი ამ ამბებზე არანაირად რეაგირებდა. შევარდნაძე გაფრინდა მოსკოვში, შეხვდა პრეზიდენტს, რომელიც დაემოწმა, რომ აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მოგვიანებით ვიგებთ, რომ ამავე დღეს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი ოური სკოკოვი იქვე კრემლში ხვდება ვლადისლავ არძინბას. შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითალოს, რომ აფხაზეთს გაუჩნდა იარაღი, მძიმე ტექნიკა და ფული.

„რუსეთმა აფხაზეთს კრედიტით გამოუყო 14 მილიარდი მანეთი. მოსკოვში კიდევაც გაიხსნა სპეციალური ბანკი. მე თვითონ ვარ არტილერისტი და ვერკვევი ამ საქმეში. სოხუმის აღების დროს სინოპის მთაზე ნაღმსატყორცნი ტექნიკა იდგა ყოველ 10 მეტრში. იქ ყველაფერი გაკეთებული იყო უმაღლესი ხარისხით, ორგანიზებულად, როგორც სასწავლებელში. ამ დონის სპეციალისტები აფხაზებს არ ჰყავდათ, ხოლო მათი მომზადება ასეთ მცირე დროში შეუძლებელი იყო. მათ მოწვეულები ჰყავდათ რუსი სპეციალისტები, უხდიდნენ ფულს, ისინი კი ასრულებდნენ დავალებას და უკან ბრუნდებოდნენ“.

„სოხუმის დამცველებმა შტურმის დროს ბევრი რუსი სამხედრო დაინახეს ნიღბებში, გულზე ამოქარგული ჰქონდათ „დშბ“ „.

ვინ მართავს კარადს

გასარკვევი დარჩა ის, თუ რა ძალებია ესენი? პირველი, რაც ფიქრად მოდის ესაა, რომ ტარდება რუსეთის პოლიტიკა, რათა იგი გამაგრდეს შავიზღვისპირეთში. 1993 წელს პაველ გრაჩოვმა განაცხადა, რომ „ჩვენ გვჭირდება შავი ზღვის პორტები. გამოსვლა ბათუმიდან ნიშნავს, რომ გამოვიდეთ შავი ზღვის რაიონებიდან. ეს კი რუსეთის ინტერესებში არ შედის. ამასთან ერთად, ჩვენი ამოცანაა გავმაგრდეთ ამ რეგიონში“. ეს კი ეტყობა ნიშნავს იქ რაც შეიძლება მეტი რუსეთის ჯარის შეყვანას, რომელიც ყველაზე იოლი განსახორციელებელია ომში ჩაბმულ ქვეყანაში. სულ ერთია ეს ომი სამოქალაქო იქნება, ეთნიკური, თუ ერებს შორის. მთავარია ომის ცეცხლი არ მინელდეს.

მოვლენების ამგვარი მიმდინარეობის შემდეგ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: თუ ქვეყნის ხელმძღვანელები ცდილობენ თავიანთი ქვეყნის ინტერესების რეალიზაცია განახორციელონ სხვა ქვეყნის შინაურ საქმეებში სამხედრო ჩარევით, მაშინ ამგვარი ხელმძღვანელობა დანაშაულებრივია, რადგან იგი არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამასთან ერთად, წარმოიშობა კანონზომიერი ეჭვი ქვეყნის ხელმძღვანელობის მიმართ, რადგან საღი აზრის პოზიციიდან სრულიად გაუგებარია გავლენის სივრცეების გაფართოების პოლიტიკა, რომ მიმდინარეობს ასე ძვირადღირებული მეთოდებით, რომელიც ფაქტიურად საქართველოს გამანადგურებელია, მაშინ, როცა მის სათავეშია ედუარდ აშბროსის ძე, მტკიცე „რუსეთის აგენტი“. აქეს რა საქმე შევარდნაძესთან, რუსეთი დიდი ხანია ხელში ჩაიგდებდა მისთვის სასურველ სამხედრო ბაზებს და პორტებს, რომ თვითონ არ გაეკეთებინა მისადმი სიძულვილი კონფლიქტში აფხაზების მხარეს გამოსვლით.

გაურკვეველია აგრეთვე ეკონომიკური მდგომარეობაც. პურს, რომელსაც ჭამენ ორი წლის განმავლობაში საქართველოში, 60%-ი ამერიკულია. ისინი უგზავნიან ჰუმანიტარულ დახმარებას, წამლებს, თბილისში მუშაობენ ამერიკელი ექიმები. რუსეთი კი მეორე წელია საქართველოს პირდება 20 მილიარდი მანეთის კრედიტს, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ არის. საკითხავია, ვინ უნდა უყვარდეთ საქართველოში, ვინც აჭმევს მათ პურს, თუ ვინც სცემს? უფრო მეტად დასაშვებია, რომ არძინბას ზურგს უკან არა მარტო რუსეთია, არამედ კონკრეტული პიროვნებებიც დგანან თავისი კონკრეტული ინტერესებით. მიხეილ დემიანოვმა, რომელიც ტყვედ იყო აყვანილი, დაკითხვისას განაცხადა, რომ სოხუმის აღების ბრძანება არძინბამ რუცკოისაგან მიიღო. დეპუტატმა სერგეი ბაბურინმა სოხუმში ჩამოსვლისას ბრძანა, რომ აფხაზეთი იყო წმინდა რუსული მიწა. შეუმოწმებელი მონაცემებით ბომბორის სამხედრო აეროპორტში რუსეთიდან საქართველოში გადმოიგზავნება ნარკოტიკების დიდი პარტია. გალის რაიონში ბანდფორმირებები ამჟამად დადიან სახლებში და ადგილობრივ მცხოვრებლებს აფრთხილებენ, რომ მათ არ აიღონ მოსავალი — ჩვენ თვითონ მოვალთ და მოვკრეფთო. საქმე იმაშია, რომ 1 ნოემბერს, ხელშეკრულებით, აფხაზეთ-რუსეთის საზღვარი იხსნება ფსოუზე და როგორც ჩანს, მანდარინის გაყიდვით მოგებული დარჩებიან როგორც მისი გამყიდველები, ასევე ისინი, ვინც მათ ამის უფლება მისცათ. „რუსეთი ნავთს ყიდულობს აზერბაიჯანში და ბაქოს უკმაყოფილების მიუხედავად, ჰყიდის სომხეთში. ნავთი გააქვთ საქართველოს გავლით. ტრანსპორტირებას ახდენს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. ამგვარი კომერციული საქმიანობით იღებენ არა მარტო მატერიალურ მოგებას, არამედ პოლიტიკურ დივიდენდებს — აზერბაიჯანი ძლიერ არის ნაწყენი საქართველოზე“.

ნათელია, რომ ყველაფერ ამის ორგანიზება ხდება დიდი გააზრებით და ის, ვინც ფიქრობს, რომ რუსეთში ყველაფერი იშლება, ძალიან ცდება, თუ ქვეყანაში არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც აქვთ უნარი გაიფიქრონ და განახორციელონ ასეთი რთული ოპერაციები. ეს ხომ მით უფრო რთულია, ვიდრე ტერაქტი ასაფეთქებელი მოწყობილობით ჩემოდანში. აქ ხომ მთელი სახელმწიფოს აფეთქება ხდება. ვინ ხელმძღვანელობს პარადს, ამის გარკვევა მაინც არ არის იოლი. შესაძლებელია, სახელმწიფო ინტერესები იძლევიან მიმართულებას, რომლის ჩარჩოებში ახდენენ თავიანთი მიზნების ასრულებას კონკრეტული შემსრულებლები. ყოველ შემთხვევაში მიზანი მიღწეულია. აფხაზეთში პირველად სსრ კავშირის დაშლის შემდგომ მოხდა ტერიტორიების გადანაწილება ძალისმიერი გზით.

ჩხუბი შეუკვეთეს

სიტუაცია ამჟამად საყაიმოა. არ შეიძლება საქართველოს დააძალო პარტიზანების გამოყვანა კოდორის ხეობიდან, ხოლო აფხაზეთი ამ მიზეზით არ აბრუნებს ლტოლვილებს, რაც თავის მხრივ ამტკიცებს რუსეთის სამშვიდობო მისიის ჩავარდნას. რუსეთის სამშვიდობო ძალების საქართველოში ყოფნის ვადა 15 იანვარს იწურება და ამ მომენტამდე ლტოლვილები თუ ვერ დაბრუნდებიან, რაც ალბათ ასეც მოხდება, საქართველო ოფიციალურ პირთა განცხადებებით დასვამს საკითხს გაეროში თავისი ტერიტორიიდან „მშვიდობის მტრედების“ გაყვანის შესახებ, როგორც ყოვლად უვარგისი არსებებისა. ვლადისლავ არძინბა, რომელმაც არაერთხელ განაცხადა, რომ „სამშვიდობო ძალებმა უნდა დაიცვან ჩვენი საზღვრებიო“ დარჩება მესაზღვრეების გარეშე. ამ შემთხვევაში სამხედრო მოქმედებათა განახლება გარდაუვალია. გასაგებია, რომ იმ წრეებისათვის, ვისაც გააჩნია აფხაზეთში თავიანთი ინტერესები, ამ ტერიტორიის დაკარგვა სრულიად მიუღებელია. მაშასადამე, დრონა მიღებულ იქნას ზომები. ამოცანა პრინციპში ნათელია — უნდა გაკეთდეს ისე, რომ რუსეთის ჯარები დარჩნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ყველაზე მარტივი ვარიანტია ლტოლვილების დაბრუნების დაწყება. მაშინ შეიძლება ითქვას, რომ პროცესი დაიწყო, სამშვიდობო მისია იძლევა რეალურ შედეგებს და რუსეთის სამხედროები საჭიროა დარჩნენ თავიანთ პოსტებზე კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე, მაგრამ ამ ყველაზე ხელსაყრელ ვარიანტს გააჩნია ისეთი დიდი წინააღმდეგობები, რომ წარმატების შანსები მას ძალიან ცოტა აქვს.

მეორე ვარიანტი: სამშვიდობო ძალების გასვლამდე კვლავ გაჩაღდეს კონფლიქტი. ამ შემთხვევაში რუსეთის ჯარები დარჩებიან პირველი ამოცანის შესასრულებლად, რაც გათვალისწინებულია 14 მაისის ხელშეკრულებით. განაცალკევონ მხარეები ცეცხლის შეწყვეტის მიზნით. შესაძლებელია სამშვიდობო ძალები ამისათვის გაძლიერონ სამხედრო ნაწილებით. მორიგი კონფლიქტის გაჩაღების სქემა იგივეა — აიღებენ ადგილობრივ „საწვავს“ და შიგნით ჩააგდებენ ასანთს. „საწვავის“ პრობლემა არ არის, 300000 დატანჯული ლტოლვილი მზად არის გააკეთოს ყველაფერი, ოღონდ დაუბრუნდეს საკუთარ კერას, საჭიროა მათი ორგანიზება და სასურველი მიმართულებით გაგზავნა — აფხაზებზე, რუსებზე და საკუთარ ხელისუფლებაზე.

საინტერესოა, რომ ასეთი ორგანიზა-

დასასრული მე-8 გვ.

პოლიტიკა

მოქალაქენო, მოსკოვი გეძახით!..

რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მიერ 24 ოქტომბერს ხელმოწერილი ბრძანებულების თანახმად სსრკ ყოფილ მოქალაქეებს, ვინც ცხოვრობს რუსეთის ტერიტორიაზე, უფლება ეძლევათ, ყოველგვარი ჩაწერის მოთხოვნისა და სხვა შეზღუდვების გარეშე გახდნენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები. მოქალაქეობის მიღება განსაკუთრებით გაუადვილდებათ რუსეთში გაქცეულ ლტოლვილებს, იქ ლუმა-პურის საშოვნელად სხვა რესპუბლიკებიდან ჩასულ ადამიანებს, რუსეთში სასწავლებლად გამგზავრებულ ახალგაზრდებს და ყველას, ვისაც სურვილი ექნება გახდეს რუსეთის მოქალაქე. აკი განაცხადა კიდეც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქალაქეობის საკითხების სამმართველოს უფროსმა აბდულაჰ მიკიტაევმა, უახლოეს ხანებში ახლო საზღვარგარეთში მცხოვრები 50 მილიონი ადამიანი მიიღებს რუსეთის მოქალაქეობასო.

ფაქტია, რომ ეს გადაწყვეტილება ეკონომიკურ კრიზისში მყოფი რესპუბლიკების უმუშევრობით განაწამებ ბევრ ადამიანს საშუალებას მისცემს დიდი გასაქანისა და ფართო შესაძლებლობის მქონე რუსეთში იპოვოს შედარებით სტაბილური სამუშაო ადგილი. აქამდე, საცხოვრებელ ადგილას ჩაუწერლობის გამო რუსეთის მოქალაქეობის არმქონე პირებზე, შეიძლება ითქვას, რომ ნადირობდნენ სამართალდამცავი ორგანოები, იჭერდნენ და ავტარიმებდნენ ასეულ ათასობით მანეთით, ხშირი იყო ამ ადამიანების რუსეთიდან გამოძევების ფაქტებიც.

როგორც იტყვიან, მედალს მეორე მხარეც აქვს და ალბათ, საინტერესოა იმის განხილვა, თუ რატომ გადადგა რუსეთის პრეზიდენტმა ასეთი არაორდინარული ნაბიჯი. ლოგიკით ამ ბრძანებულებას რუსეთში არსებული მძლავრი ნაციონალისტური მოძრაობის გაღიზიანება უნდა გამოეწვია, რასაც ერიდება რუსეთის ხელისუფლება და ხშირად მათ საამებლად მისთვის მოსაწონ გადაწყვეტილებებს იღებს. ამ შემთხვევაში კი ვხედავთ ამ ძალების ოითქოს სრულ იგნორირებას, მაგრამ თუკი ღრმად ჩავწვდებით რუსეთის ხელისუფლების შორს მიმავალ მიზნებს, მაშინ ეს ბრძანებულება ამ მიზნებთან და რუსეთის ნაციონალისტური ხალხების გეგმებთან სრულ თანხვედრაში მოდის. ის, რომ რუსეთს ყოფილ სსრკ რესპუბლიკების მიმართ, რომელსაც „ახლო საზღვარგარეთს“ უწოდებს, საკუთარი სტრატეგიული ინტერესები გააჩნია, მთელ მსოფლიოშია ცნობილი. თავად რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთა განცხადებებით ისიც ცნობილია, რუსეთის ხელისუფლება როგორ ცდილობს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების რუსეთთან სრულ ინტეგრირებას სნგ-ს საშუალებით. აღნიშნული ბრძანებულებაც ყბადაღებული ინტეგრაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი საშუალებაა და მის სამსახურში დგას. მაშინ, როცა ევროპის სახელმწიფოები სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით თავიანთ ქვეყნებში ჩასახლების მსურველ სხვა ქვეყნების მოქალაქეებს ბარიერებს უქმნიან, რუსეთში პირიქით ხდება, ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეს იოლად ეძლევა რუსეთის მოქალაქედ გახდომის უფლება, უფრო მეტიც, ამ რესპუბლიკების მოქალაქეებს შეუძლიათ, მიიღონ რუსეთის მოქალაქეობაც და თან საკუთარი რესპუბლიკის მოქალაქეებიც იყვნენ ორმაგი მოქალაქეობის პრინციპით. მაშასადამე, რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, რომ საკუთარი სტრატეგიული ინტერესების სივრცეში მოქცეული ქვეყნების მოქალაქეთა თვალში რუსეთი დარჩეს მეორე მშობლიურ ქვეყნად, რომლის როლსაც ადრე სსრკ ასრულებდა. ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ ემიგრანტებს, როგორც წესი, რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებაში უდიდესი წვლილი შეჰქონდათ და ახლაც შეაქვთ. რუსეთის სახელმწიფოს წინაშე მარტო ქართველების დამსახურების ჩამოთვლაც კმარა, სხვა ეროვნების ემიგრანტების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ. პეტრე ბაგრატიონის, სტალინისა და შევარდნაძის დასახელებაც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ რა ერთგულებით ემსახურებოდნენ ქართველები „დიდ რუს ხალხს“ და მის სახელმწიფოს. მართალია, სიკეთეს ბოლომდე არ უფასებს რუსეთის სამსახურში ჯერ საქართველოს უძლეველ ბერლეტ-რუსული ურა-პატრიოტული აზროვნება, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის სამსახურში ყოფნის მსურველ ემიგრანტთა რიგები ამის გამო მაინც არ თხელდება.

საუბედუროდ, რუსეთის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულებით ალბათ საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას მიადგება ყველაზე დიდი დარტყმა. შიმშილს, სიცივეს და მძიმე კრიმინალურ ვითარებას უკვე გაექცა ასი ათასობით ქართველი, რომელთა დიდმა ნაწილმა რუსეთში ჰპოვა თავშესაფარი. საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივაც არ ჩანს, რაც ემიგრაციის ტალღას კიდევ უფრო გაზრდის. რუსეთის პრეზიდენტის ეს ბრძანებულებაც ბევრს წამოაგებს ანკესზე და რუსეთის ტრამალებში უკრავს თავს. რუსეთი კი იმდენად დიდია, რომ ადვილად მოინელებს თუნდაც რამდენიმე მილიონ ქართველს, იმ ქართველებს, რომელთაც, ქვეყანას პატრონი რომ ჰყოლოდა, საკუთარი სახელმწიფო უნდა ეშენებინათ და მისი ინტერესების სადარაჯოზე უნდა მდგარიყვნენ.

გია თმალავაძე

ეკონომიკა

ფული მხოლოდ ღირებულების კი არა, მთავრობის ავ-კარგის გამომხატველიც არის...

რუსეთის საინფორმაციო საშუალებები გვამცნობენ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი აპირებს გამოაქვეყნოს რუსეთის უშიშროების საბჭოსთან არსებული მანეთის კურსის დაცემის შემსწავლელი კომისიის მოხსენება. პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მრავალ ქვეყანაში მოქმედებაშია საკანონმდებლო აქტები, რომლებიც კრძალავენ ბანკებს შორის „შეთქმულებას“ სავალუტო სპეკულაციის მიზნით. ელცინი თვლის, რომ „შავი პარასკევის“ მოვლენების მონათვლა მხოლოდ საბირჟო თამაშად, როგორც ცდილობს ზოგიერთი ბანკის წარმომადგენელი, გაუმართლებელია. „რა თამაშია რუსეთის ბედით თამაში?“ — თქვა პრეზიდენტმა.

ელცინმა მანეთის კურსის დაცემაში ბრალი დასდო რუსეთის ფინანსთა მინისტრ ანდრეი დუბინინს და ცენტრალური ბანკის თავმჯდომარეს ვიქტორ გერაშჩენკოს, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან თანამდებობიდან და როგორც პრეზიდენტმა ბრძანა, მათ „მსუბუქი შიში განიცადეს“.

რუსეთის მთავრობის თავმჯდომარემ ვ. ჩერნომირდინმა კი განაცხადა, რომ პასუხისმგებლობას ამ მოვლენებზე ვერ მოიხსნის ვერც მთავრობა და ვერც ცენტრალური ბანკი და თვლის, რომ მომხდარის მთავარი მიზეზია ჩრდილოეთის რეგიონებისა და აგროსამრეწველო კომპლექსისათვის გამოყოფილი კრედიტები, რომლებიც დანიშნულების ადგილას არ მიდიოდა და ილექებოდა მოსკოვში და სხვა დიდ ქალაქებში. რუსეთის საფინანსო წრეები თვლიან, რომ საჭიროა ჩამორჩენილ საწარმოებს შეუწყდეთ ფინანსური დახმარება სახელმწიფოსაგან, რასაც წარმატებით ახერხებენ სამხედრო და აგრარული დაჯგუფებები.

თითქმის ანალოგიური სიტუაცია, ოღონდ ამერიკული დოლარის კურსისათვის ნაკლებ საშიში, შექმნილია მსოფლიოს სავალუტო ბირჟებზე ნოემბრის დასაწყისში. როგორც გვატყობინებს 5 ნოემბრის გაზ. „იზვესტია“, ამერიკული დოლარის კურსი იაპონურ იენთან მიმართებაში საგრძნობლად დაცემულა, რასაც მოჰყოლია ევროპულ ფულის ერთეულებთანაც დოლარის კურსის დავარდნა. ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, რომელიც ცენტრალური ბანკის მოვალეობას ასრულებს ქვეყანაში და ფინანსთა სამინისტრომ სწრაფი რეაგირება გააკეთა მომხდარზე და მეორე დღესვე მსოფლიოს თითქმის ყველა ძირითად ბირჟაზე შეისყიდეს 1,5 მილიარდი დოლარი, რის შედეგადაც ამერიკის შეერთებული შტატების ფულის ერთეულის კურსი მაშინვე დაუბრუნდა თავის წინანდელ დონეს. ამასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ „დოლარის კურსის დაცემა სავალუტო ბაზარზე არ შეესაბამება ამერიკისა და მსოფლიო ეკონომიკის ინტერესებსო“. ამასთან ერთად, ეს იქნება დარტყმა არა მარტო ქვეყნის, ეკონომიკაზე, არამედ ამერიკელთა ცხოვრების წესზეც, რომლის ერთ-ერთი ბურჯია მყარი დოლარიო.

რა უნდა ითქვას ამ ამბებთან დაკავშირებით, საქები სიტყვების გარდა ამ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებზე, იმ ქვეყნებისა, რომლებსაც თავიანთი სიძლიერის წყალობით „ძერჟავას“ უწოდებენ, რომლის შესაბამისი სიტყვა ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ქართველ ერს ვერ მოუფიქრებია.

რუსეთისა და ამერიკის ხელისუფლება, ზემოთ თქმულით კარგად ჩანს, თუ როგორ ზრუნავს თავისი ეროვნული ვალუტის სიმტკიცეზე. მანეთის კურსის დაცემა რუსეთის პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში რუსეთის უშიშროებაზე დარტყმად შეაფასა, ხოლო ამერიკის ხელისუფლებამ, ჩრდილო რომ არ მიადგეს დოლარის ღირებულებას, უკანასკნელ წელს ოთხჯერ მიმართა დოლარის კურსის განმტკიცების ისეთ ეფექტურ ხერხს, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ჩვენ კი რა ღმერთი გვწყრებოდა უკანასკნელი წლების მანძილზე? ჯერ იყო და, თოთოშობილ ქართული ფულის ნიშანს კუპონს სამთავრობო წრეებიდან ფულის სუროგატი უწოდეს, შემდეგ მისი შემოღება იძულებით ნაბიჯად მონათლეს, რაც ხალხში მის მიმართ უნდობლობას და დაუფასებლობას იწვევდა, შემდეგ კი ისე გაუჩერებლად ამუშავებინეს ფულის საბეჭდი მანქანები საზღვარგარეთის ფაბრიკებში, თითქოს ქვეყნის ვალუტის ბეჭდვა კი არ შეუკვეთეს, არამედ „შპალიერის“.

ვისაც იმ ხანებში „კავკასიის ბირჟასთან“ რაიმე კონტაქტი ჰქონდა, ემახსოვრება ფურგონიანი მანქანები, რომლიდანაც დასტა-დასტა გამოჰქონდათ სტამბის სუნდაუკარგავი კუპონის კუპიურები და მიდიოდა დოლარების გამალებული შესყიდვა, რომლის სახითაც ნიავდებოდა საქართველოს ქონება, ხოლო ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარი ბურჯის, ქართული ფულის ერთეულის სიმყარეს ძირი ეთხრებოდა. ასე მიგვიყვანა ქვეყნის ეკონომიკის განადგურებამდე სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთა მიერ მოწონებულმა ეროვნული ბანკის ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ. ამჟამად ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან ქვეყნის საფინანსო სისტემის მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულებაა, სხვა საქმეა ეს როდემდე გასტანს, რაც ქართული კუპონის გაძლიერებას იწვევს, მისი კურსი ბოლო კვირეების მანძილზე ორ-სამჯერ ამაღლდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აქსიომას, რომ ქვეყნის ხსნა თუ დაღუპვა, უმეტესწილად დამოკიდებულია ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკაზე.

ბ. ბაშელი

საქნავთობის დეპარტამენტი და ნავთობი ანუ თურაშაულის პატრონი სხვის ბაღში ეძებს პანტასა

ამერიკელები ნავთობის საკუთარი მარაგის მიუხედავად, ამ სტრატეგიული ნედლეულის 50% საზღვრებსგარეთიდან ეზიდებიან თავიანთ ქვეყანაში. ჩვენ კი მზად ვართ ჩვენი ნავთობის 50% სხვას დავუთმოთ, ოღონდ მის მოპოვებაში მოგვეხმარონ. რატომ ხდება ეს ასე? ამ საკითხზეა საუბარი ქვემოთ წარმოდგენილ წერილში

დღეს ჩვენი რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, რის გამოც სახალხო მეურნეობა თითქმის მთლიანად მოშლილია, ეს ძირითადად გამოწვეულია ნავთობპროდუქტების უქონლობით. ამ დროს საქნავთობს, რომელსაც თითქმის ასი წლის ისტორია აქვს, სჭირდებოდა მეტი ინიციატივის გამოჩენა, რათა გაეძლიერებინა ნავთობზე და გაზზე ბურღვითი სამუშაოები, მაგრამ ეს ინიციატივა რატომღაც არა სჩანს.

როგორც ცნობილია, 1959 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში აკადემიკოს ა. ძიძიგურის ინიციატივით ჩამოყალიბებული იქნა ღრმა ბურღვის ლაბორატორია. იგი დაკომპლექტებული იყო მბურღავი სპეციალისტებით, რომლებმაც ქ. ბაქოში გაიარეს სათანადო მომზადება.

შედარებით მოკლე დროში ღრმა ბურღვის დარგში მომზადებული იქნა 10 ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და სამეცნიერო კვლევისათვის შეიქმნა ძირითადი ბირთვი, დამუშავდა და წარმატებით დაინერგა 4 კმ. და მეტი სიღრმის ჭის ბურღვის, პროდუქტიული ფენის გამოცდის და ათვისების გაუმჯობესებული ტექნოლოგია და სხვა რეკომენდაციები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სამგორის მოედანზე შუა ეოცენის ნალექებში აღმოჩენილიყო ნავთობის უნიკალური საბადო, ამის წყალობით ნავთობის მოპოვებამ საქართველოში მიაღწია 3 მილიონ ტონაზე მეტს წელიწადში. სამწუხაროდ, ისე როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა საბადოზე, ჭის არასწორი ექსპლოატაციის შედეგად საბადო გაწყლიანდა.

1969 წელს ღრმა ბურღვის ლაბორატორია დაექვემდებარა ჯერ საკავშირო გეოლოგიის სამინისტროს, შემდეგ გროზნოს საკავშირო ნავთობის ინსტიტუტს, ხოლო ამჟამად საქნავთობის დეპარტამენტს, რის გამოც საქ. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და მთლიანად საქართველოში შეწყდა ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები.

საქნავთობის დეპარტამენტს დაქვემდებარებული ნავთობის და გაზის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით. ისინი ავტორები არიან მრავალი მნიშვნელოვანი გამოგონების (რომელთა შორის არის სეკციური ტურბა ბურღი, რომლის დამზადების ლიცენზიაც შეძენილი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს, გერმანიას და სხვა ქვეყნებს).

აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა: რა ფუნქციებს ასრულებს კვლევითი ცენტრი და რა შედეგებს იძლევა ის? თუ საქნავთის მუშაობის შედეგებით ვიმსჯელებთ, კვლევითი ცენტრის დახმარება საქნავთობის მიმართ უშედეგოა, რადგანაც მათი წინადადებები და რეკომენდაციები არ ინერგება საქნავთობში, გამოდის, რომ კვლევითი ცენტრი ზედმეტ ტვირთად აწევს საქნავთობს.

ჩვენს მიერ გაკეთებული იქნა საქნავთობის საძიებო ჭების ბურღვის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი, სიდანაც ჩანს, რომ ბურღვის გეგმა 1987 წელს შესრულებულია 64 -ით, ძირითადი მიზეზი გეგმის შეუსრულებლობის იყო მუშაობის ცუდი ორგანიზაცია, რომელიც გამოიხატება ბურღვის სამუშაო დროის ბალანსის არაეფექტური გამოყენებით, ბურღვის საერთო ხვედრითი კალენდარული დროიდან ნახევარი იხარჯებოდა ორგანიზაციულ გაჩერებაზე.

მაშასადამე, ჭის ძირითადი მიზანდასახული პროცესისათვის ბურღვისა და მისი გამაგრებისათვის რჩებოდა მხოლოდ კალენდარული დროის ნახევარი, ამასთან, ძირითადი პროცესი სისტემატიურად და ხანგრძლივად წყდებოდა, რაც ხდებოდა სხვადასხვა სახის ავარიების და გართულებების მიზეზად, განსაკუთრებით რთულ გეოლოგიურ პირობებში.

ღრმა ბურღვა, ისე როგორც მეტალურგიაში ფოლადის ჩამოსხმა, ითვლება ტექნოლოგიურად უწყვეტ პროცესად და ამ პროცესის გაჩერებას მოსდევს მძიმე შედეგები, რასაც ხშირად ადგილი აქვს საქნავთობის პრაქტიკაში.

საჭიროა შეენიშნოთ, რომ საზღვარგარეთის ბურღვის პრაქტიკაში ორგანიზაციული გაჩერების ცნება საერთოდ არ არსებობს, ის უბრალოდ არ დაიშვება.

გარდა ზემო აღნიშნულისა, თუ ასეთი გაჩერებები ხდება ჭის შესაძლო პროდუქტიულ ინტერვალში, იქიდან მისი არსებობის შესახებ რაიმე ინფორმაციის მიღება ძალიან ძნელდება და სრულფასოვანი არ არის. რის გამოც ჭა ბურღვით უმრავლეს შემთხვევაში ისე მთავრდება, რომ ვერ ასრულებს მასზე დავალებულ ამოცანას — გამოავლინოს პროდუქტიული ფენის (საბადოს) ან სხვა სასარგებლო ბუდობის ან უკიდურეს შემთხვევაში უტყუარად დადგინდეს შესწავლილ ტერიტორიაზე ასეთი პროდუქტიული ფენის საბადოს არარსებობა.

რაც შეეხება იმ ტენდენციას, რომ ამერიკიდან მოვიწვიოთ ბურღვის სპეციალისტები და მათ გავაბურღვინოთ ჭები, აქ ეჭვი არავის ეპარება, რომ ისინი იმ პირობით ჩამოვლენ, თუ მოპოვებული ნავთობის ნახევარს წაიღებენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პირობით არა მარტო ამერიკელები, არამედ საბჭოთა კავშირის ნებისმიერი რესპუბლიკის სპეციალისტებს შეუძლიათ და ყველაზე უკეთესად — ჩვენს სპეციალისტებს, აღმოაჩინონ ნავთობის საბადო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის მოპოვების პოტენციალურ შესაძლებლობის 50 იღებენ, ეს მათ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ ამჯობინებენ თავიანთი ნავთობი დაზოგონ და დანარჩენი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შეიტანონ, ჩვენ კი ჩვენი უნიათობის გამო, ჩვენთან მოპოვებული ნავთობის ნახევარი სხვას უნდა მივცეთ.

ყურადღებას იმსახურებს ავსტრალიელების დახმარებით პროდუქტიული ფენის ჰორიზონტალური ბურღვა. უნდა ითქვას, რომ ასეთი ხერხით ბურღვა ჩვენთან, ცნობილი იყო ჯერ კიდევ 50-იან წლების დასასრულს, საკავშირო ნავთობის ბურღვის ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩვენი რესპუბლიკისათვის შემოთავაზებული იყო მირზაანის მოედანზე ჩაეტარებინათ პროდუქტიული ფენის ჰორიზონტალური ბურღვა, რაც მხოლოდ ტურბობურღის დახმარებით ხორციელდება და უსათუოდ პერსპექტიულია.

იმისათვის,რომ ჩვენთან განვითარდეს ნავთობზე და გაზზე ძებნა-ძიებითი სამუშაოები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ნავთობისა და გაზის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრი დაექვემდებაროს საქ. მეცნიერებათა აკადემიას, კერძოდ სამთო მექანიკის ინსტიტუტს. რადგანაც ამჟამად აღნიშნულ კვლევით ცენტრს ფაქტურად იყენებენ უმნიშვნელო წვრილმან სამუშაოებზე, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები კი მიტოვებულია.

პ. ხმიადაშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის უფრ.მეცნ.თანამშრომელი

საქენერგო — თელასი აუღებელი ციხე

ნათქვამია, ხალხი ყველაფერს ეჩვეოდაო. ჩვენც, აგერ მესამე წელი ხდება, გვაჩვენებენ და გვაჩვენებენ უშუქობას, სიცივეს, შიმშილს, ტრანსპორტობას... მაგრამ მიჩვევაც არის და მიჩვევაც — როგორი მისაჩვევია, როცა ლამის დღეებია და ზოგჯერ კვირეების განმავლობაში რომ არც შუქი გექნება, არც გაზი, ზოგჯერაც არც წყალი. მოდი და გაძელი. საერთო გაჭირვება რომაა ყველაფრის, ეს ვიცით და ამიტომაც ბევრს არ ვწუწუნებთ, მაგრამ რომ გეტყვიან, ცხრიდან ექვსამდე არ ვაჭმევ დღეს, შერე კი გეკენაო და ამ გრაფიკსაც არ გისრულებენ, თანაც ლამით, სადღაც თორმეტ საათზე მოგცემენ დღეს და დილით შვიდ საათზე რომ გამოვირთავენ, მაშინ ძალაუნებურად დაიწუწუნებ, აბა რას იზამ.

ახლა წარმოიდგინეთ იმ სახლების ბინადართა ყოფა, სადაც ყოფილი კომუნისტების დაგეგმვით, მაინცდამაინც დენია და გაზი ახლოსაც არ „ჩაგვიდის". ან გათბობა, ან ჭამა, ან ვაბარსვა, დაბანვა არ გინდა, რადიო-ტელევიზორზეც რომ არაფერი ვთქვათ?

არ გინდოთ, გეეუბნებიან ჭედია-გურგენიძე, საქენერგო-თელასის ხელმძღვანელები და ისედაც „დაჩაგრულ", მივარდნილ რაიონებს (დენზე მყოფებს) ეარკეთილს (განსაკუთრებით ამ პირველს) დიდ დიღომს, გლდანს კიდევ ზედმეტად ჩაგრავენ ლამის გამუდმებული უშუქობით და უგრაფიკო გრაფიკით, თუმცა, როგორც კითხეთ, არც ცენტრალური რაიონებია მაინცადამაინც დალხენილი.

კი ბატონო, ვეთანხმებით, რომ მართლაც ჭირს ელექტროენერგია, მაგრამ გრაფიკი მაინც რომ დაიცვათ, ესეც თუ არ შეგიძლიათ, მაშინ დაიხურეთ ქუდები და წადით სახლებში, მით უფრო, რომ სხვა, გრაფიკზე უფრო მძიმე პრობლემებს, როგორც ეტყობა, მაინც ვერ აგვარებთ და იქნებ იმ ადამიანებს დაუთმოთ სკამები, რომლებიც თქვენზე უკეთ შეძლებენ საქმის გაძღოლას. მოგეხსენებათ, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო.

გასაკვირია პირდაპირ, რა ისეთი ნაზუქები აჭამეს მთავრობას საქენერგოსა და თელასის ხელმძღვანელებმა,რომ ლამის აულებელი ციხე გახდნენ და მიუხედავად ზათი უწყებების უგერგილო მუშაობისა, მაინც მშვიდად სხედან საკუთარ, საუფროსო საკარძლებში და ისე ჩანს, არც მთავრობაში, არც მეთაურის აპარატში, არც სხვაგან არავინაა ისეთი, მათ რომ ბუზი აუფრინოს.

ბატონ სახელმწიფოს მეთაურს რომ ექსპერიმენტების ჩატარებისკენ ჰქონს მიდრეკილება, ეს მთელმა ქვეყანამ იცის, ამიტომ ჩვენ, საქენერგო-თელასისგან „დაჩაგრულ", „მივარდნილ" რაიონების (ვარკეთილი, დიდი დიღომი, გლდანი) მცხოვრებნი დაბეჯითებით ვთხოვთ ბატონ ედუარდს, იქნებ ჩატაროს ექსპერიმენტი და ამ ორი პიროვნების ნაცვლად სხვა, უფრო კომპეტენტური ადამიანები დასვას მათს ადგილზე, მით უფრო, რომ ჭედია-გურგენიძეს თავიანთი თანამდებობები მემკვიდრეობით ნაღდად არ მიუღიათ.

თუ ბატონი ედუარდი დაგვთანხმდა ამ ექსპერიმენტზე და ექსპერიმენტმაც გაამართლა, ხომ გვეშველა, თუ არა და დაპრუნებს უკან ისევ ჭედია— გურგენიძეს და ეგ იქნება.

ს. რუხელი

ინფორმაცია

დამფუძნებელი კონფერენცია

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს ჩატარდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციამდელ პერიოდში შედგა სახალხო ფრონტისა და ქართია-91 (თავისუფლების პარტია) რეგიონალური ორგანიზაციების ყრილობები, ხოლო შემდგომ გამაერთიანებელი ყრილობა, რომელზეც სახალხო ფრონტისა და ქართია-91 რეგიონალურმა ორგანიზაციებმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადეს და გაერთიანდნენ გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში

საქალაქო ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციას ესწრებოდნენ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზის ხელმძღვანელი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების მუდმივმქმედი კომისიის თავმჯდომარე ბატონი ნოდარ ნათაძე, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს მღივანი, პარლამენტარი ბ-ნი მერაბ ურიდია, პოლიტიკური საბჭოს წევრი, პარლამენტარი თენგიზ დიხამინჯია, პოლიტიკური საბჭოს წევრები, ბატონები: გოჩა გავაშელი და ვოგი თამლიანი.

კონფერენციის დღის წესრიგში შედიოდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს მიერ რაიონული ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული ტიპიური დებულების განხილვის, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის მმართველი საბჭოს, სარევიზიო კომისიის არჩევის, აგრეთვე სხვადასხვა საკითხები.

კონფერენციას უძღვებოდა ყოფილი სახალხო ფრონტის რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ბ-ნი თენგიზ გზირიშვილი.

გაიმართა მსჯელობა წარმოდგენილი ტიპიური დებულების ირგვლივ. კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს დებულება, თუმცა გარკვეული წინადადებები გამოითქვა მისი სრულყოფისათვის.

გადაწყდა, რომ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის მმართველი საბჭოს არჩევა მომხდარიყო ღია კენჭისყრით... კენჭისყრის შედეგად მმართველი საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ: თენგიზ გზირიშვილი, ბადრი მეფარიშვილი, ედუარდ ჭუმბურიძე, ანონ ქობალია, ედუარდ ღლონტი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს ედუარდ ტუფურია, ავთანდილ ყურაშვილი და მურმან ჩაფიჩაძე.

მმართველი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბადრი მეფარიშვილი, მოადგილედ ედუარდ ჭუმბურიძე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ედუარდ ტუფურია.

კონფერენციის დასასრულს გაიმართა საუბარი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. კონფერენციის დელეგატთა შეკითხვებს უპასუხეს ბატონებმა ნოდარ ნათაძემ, მერაბ ურიდიამ და თენგიზ დიხამინჯიამ.

კონფერენციის ყველა დელეგატი ერთსულოვანი იყო იმაში,რომ ქვეყანას სჭირდება ხსნა და იგი სწორედ პატიოსანმა, ქვეყნისთვის თავდადებულმა ადამიანებმა უნდა ისხნან, ამიტომ საჭიროა ასეთი ადამიანების ერთმანეთის გვერდით დადგომა და საერთო ძალებით არა მარტო იმ პრობლემების დაძლევა, რომელიც რუსთავს აწუხებს, არამედ სრულიად საქართველოს გადარჩენაზე ზრუნვაც.

ბატონების ნოდარ ნათაძის, მერაბ ურიდიას, თენგიზ დიხამინჯიას გამოსვლებში ძირითადი აქცენტი გაკეთდა მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადებაზე, ოპოზიციური პარტიების შესაძლო გაერთიანებაზე, აფხაზეთის მომავალ სტატუსზე და ამჟამად ენერგეტიკაში მიმდინარე მოლაპარაკებებზე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტებზე, ხელისუფლების საშინაო და საგარეო კურსზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის დამთავრების შემდეგ ქუჩაში გამოსულ ბატონ ნოდარ ნათაძეს შემოეხვივნენ იქვე, ქუჩის გადაღმა მდებარე პურის მაღაზიის უსაშველო რიგიდან გამოსული ადამიანები, რომლებმაც შესჩივლეს ბატონ ნოდარს თავიანთი მძიმე საყოფაცხოვრებო პრობლემების, კერძოდ უშუქობის, უპურობის, უგაზობის და სხვა, მეტად მწვავე პრობლემების შესახებ,რომლის გადაწყვეტაც, ბუნებრივია, მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივა გახლავთ.

სერგო ჯანაშია

„მე აქედან არ ნავალ“

მეხუთე გვერდიდან

ცია უკვე შექმნილია, თანაც ერთი თვის წინათ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის სახით. მისი სოციალური ბაზაა ლტოლვილები. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიხედვით ფრონტს მხარს უჭერს ნახევარი მილიონი ადამიანი. მისი მიზანია „აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იმ საზღვრებში, რაც გაეროს მიერ არის აღიარებული“. მიზნის მიღწევის საშუალებებია — „ჩვენ დავიწყებთ პარტიზანულ ომს, მოვითხოვთ შევარდნაძის გადადგომას, დავაბრუნებთ ლტოლვილებს სამხედრო გზით, მოვითხოვთ სამშვიდობო ძალების გაყვანას, გავაფრთხილებთ რუს დედებს, რომ მათი შვილები აქ უსამართლობას. ჩადიან და სჯობს წაიყვანონ აქედან, სანამ სროლა არ ამტყდარა“. ყველაფერი ეს როგორც ჩანს, სუფთა გულითაა ნათქვამი, ამგვარ გამოსვლებს პროვოკაციულად ვერ მონათლავ. გასაგებია რომ ამგვარ ვითარებაში რუსებს გასვლა კი არა, პირიქით, ჯარების შემოყვანის სურვილი გაუჩნდებათ. აღსანიშნავია, რომ ფრონტის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია თენგიზ კიტოვანი, რომელიც საქართველოში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების მთავარი მოქმედი პირია, რაც თავის მხრივ სარწმუნო წყაროების მიხედვით რუსეთის სპეცსამსახურების მოწყობილია. სამხედრო გადატრიალება, გამსახურდიას დამხობა, ომის გაჩაღება, საქართველოს არმიის შეყვანა აფხაზეთის ტერიტორიაზე — ყველა ამ შემთხვევაში შეიარაღებული ადამიანები კიტოვანს მიჰყვებოდნენ. ასე რომ „საწვავი“ საიმედოა და არაერთხელ გამოცდილი, ხოლო ასანთის როლს შეასრულებს კოდორის ხეობა. იქ ყველაფერი მზად არის, საჭირო მხოლოდ ჩახმახის გამოკვრა და რაც არ უნდა სამწუხარო იყოს მოვლენების ამგვარი განვითარება, სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მისი ალბათობა საკმაოდ მაღალია.

იულია კალინინა

„მოსკოვსკი კამსამოლეც“

8 ნოემბერი 1994 წელი

მოამზადა

ქეთი დავლიანიძემ

ვისი ეშინია ხელისუფლებას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვირვებული ვარ, როცა რაიმე, ხელისუფლებისათვის მეტად ძნელად გასაკეთები და ისე ვთქვათ, „გასაყვანი“ საკითხი იხილება პარლამენტში, იმ დღეს ქალაქში მეტისმეტად აქტიურობს პოლიცია, ომონი და სხვა, ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენი გასამხედროებული და ხელისუფალთაგან დაკანონებული შეიარაღებული სტრუქტურა. დილიდანვე გადაკეტავენ გზებს, მოაწყობენ პიკეტებს, კორდონებს, ბარიკადებს, დაიჭერენ ხელში ავტომატებს და მიდის ერთი ამბავი: მანქანების გაჩერება, შემოწმება, სტვენა და ა.შ. საბოლოო ჯამში კი იხერგება გზები, ჩნდება ე.წ. „პიკები“ და ალბათ, სქელდება შემმოწმებელ-კონტროლიორთა ჯიბეებიც.

მახსოვს, როცა ესენგიში გაწევრიანების საკითხი იხილებოდა პარლამენტში და ხელისუფლება, მიუხედავად ომოზიციის, თავისუფალი პრესის, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის სასტიკი წინააღმდეგობისა, გააფთრებით ცდილობდა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას პარლამენტში (ჩვენდა საბედნიეროდ, აკი გადაწყვიტა კიდეც), იმ დღეებში მთელი ქალაქი ხელისუფლების კანონიერ თუ უკანონო შეიარაღებულ სტრუქტურათა ძალების ერთგვარ დემონსტრაციის არენად იქცა და თქვენ წარმოიდგინეთ, მძიმე ტექნიკაც კი იქნა გამოყენებული და ერთი მათგანი როგორც ჩვენ, არა სამხედროებმა გავარჩიეთ, ნამდვილი, გრძელლულიანი ტანკი თავისუფლების მოედანზე, სწორედ ჩვენი რედაქციის შენობის წინ დილიდან საღამომდე იყო „დაყუდებული“, ოღონდ, ეგ არის, ნებსით თუ უნებლიეთ, ის თავისი გრძელი, შავად შემშვარტლული ლულა, მთავრობის სახლისკენ ჰქონდა მიშვერილი.

ასე იყო რვა ნოემბერსაც. დილით, მეტროდან ამოვედი თუ არა, თვალში მეცა ავტომატიან პოლიციელთა და მათ მსგავსთა სიმრავლე, პიკეტები, კორდონები, პარლამენტის შენობის წინ კი საკმაოდ გრძელი კორდონი. მოგეხსენებათ, პარლამენტარ თემურ ჟორჟოლიანის მოთხოვნის თანახმად, პარლამენტში დებატები გაიმართა ხელისუფლების საკითხის ირგვლივ და ხელისუფლებამაც მაშინვე გამოყარა პოლიცია ქუჩაში და ყველას, ვისაც კი გულში ოდნავ მაინც ჰქონდა მცირედი უკმაყოფილება ხელისუფალთა მიმართ, მუშტი უჩვენა და აგრძნობინა, თუ ჭკვიანად არ იქნებ, ეს შავი ჯოხი, „დუბინკად“ მონათლული, არ აგცდება.

ისე, ამდენი პოლიციელი — ომონელების შემხედვარე იმასაც კი იფიქრებ, რომ ხელისუფლებას ვიღაცის და რაღაცის შიში აქვს ალბათ და წინასწარ თადარიგი დუჭერიაო. მე არ ვიცი, ვისი უნდა ეშინოდეს იმ მთავრობას, რომელმაც წინამორბედი ხელისუფლება იარაღით გადმოაყირავა და მის მერე ქვეყანაში, ლამის არის, სამხედრო თუ არა, პოლიციური რეჟიმი დაამყარა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ როგორც ომონს, ეშინია კი. არადა, კაცმა რომ თქვას, ამ ხელისუფლებისა საკუთარი თავისა, აბა ვისი უნდა ეშინოდეს დღეს, ვინაა მისი მომრევი ან რომელი ჭკუათმყოფელი აწევს დღეს იარაღს და იტყვის, მე მინდა ეგ გრძელი სკამი, თქვენ რომ მთავრობას ეძახითო. ჩემის ღრმა რწმენით, ასეთი არათუ ვინმე თოფიანი კაცი, არამედ არც რომელიმე პარტია, ორგანიზაცია თუ სხვა რამ და ვინმე გახლავთ დღეს საქართველოში და თუ მთავრობის კანონიერი და უკანონო (თუმცა ზოგადად დაკანონებული) თოფიანები დაერევიან ერთმანეთს და ამის შიში აქვთ, ეგ სხვა საქმეა.

ასეა თუ ისე, მთავრობა, რომელიც ყველა საკითხში არა ჯანსაღ აზრს, არა ხალხის დიდ ნაწილს უგდებს ყურს, არამედ საკუთარ შეიარაღებულ სტრუქტურებზე დაყრდნობით ცდილობს თავისი მიზნის მიღწევას, დიდხანს ვერ იბოგინებს და განწირულია დასაღუპავად.

სერგო ჯანაშია

ხმა მართლისა

„**ოსთა საკითხი**“ — ასე ეწოდება კრებული, რომელსაც გამომცემლობა „კერა“ სთავაზობს საზოგადოებას. წიგნი რუსულენოვანია, რაც საშუალებას მისცემს მკითხველთა ფართო წრეს, გაეცნოს და გაისიგრძეგანოს იმ კონფლიქტის მთელი სიმწვავე, მოყვრად მოსული მტრის საქმენი რომ ჰქვია: ქართველთაგან უმოქმედობა აღარ ეგების, თორემ, როგორც შესავალ წერილში ბრძანებს აკაკი ბაქრაძე, უთუოდ ახდება მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება მის ალეგორიულ რომან — „ჯაყოს ხიზნებში“ რომ ჟღერს გამაფრთხილებლად და უნიათო პატრონის (თეიმურაზ ხევისთავის) ხელში საქართველოს (მარგო) მოძალადე (ჯაყო) დაეპატრონება. ეს კრებულიც სწორედ ქართველთა მიძინებული ღირსების გამოფხიზლებას ისახავს მიზნად საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრივი მთლიანობის დასამკვიდრებლად. წიგნში წარმოდგენილია ქართველ მეცნიერთა წერილები: ვახტანგ ითონიშვილის „სამხრეთ ოსეთი — ცენტრალურ საქართველოში?!“ და „ოსიანობა“, ნოე აფხაზავის „კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვიან შუასაუკუნეებამდე“ (არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე), „შიდა ქართლი და ოსეთის პრობლემა“ — ჯონდო გვასალია, „შიდა ქართლის ხეროთმოძღვრების ისტორია“ — პარმენ ზაქარაია, „შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილის ეპიგრაფიკა“ — კობა ხარაძე, „ოსთა განსახლების საკითხი საქართველოში“ — ბახვა გამყრელიძე, „ოსები ქართულ მიწაზე“ — ანზორ თოთაძე, „როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ — სოლომონ ლეკიშვილი, „ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში“ — ავთანდილ მენთეშაშვილი, „ოსთა ავტონომიის აღმოცენება საქართველოში“ — ლევან თოიძე, „ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მათი მშვიდობიანი დარეგულირების შესაძლებლობანი“ — ლევან მათარაძე.

ისტორიულ-კულტურული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ტოპონიმიური, თუ იურიდიულ-მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ნათლად იკვეთება ქართულ-ოსური ურთიერთობის გამრუდების საფუძველი, ხელოვნურად აღმოცენებული კონფლიქტის შორეული ძირები, მესამე ძალის წამქეზებლური პოლიტიკა ორ მეზობელს შორის წყლის ასამღვრევად. თანაც, წერილებს ერთვის ფაქტობრივ-დოკუმენტური მასალა ე.წ. „წითლების“ ინიციატივით, თითქოსდა „მცირე“ ერის ინტერესების დასაცავად, სრულიად უსაფუძვლოდ და ძირძველი მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნისა, უკეთ იმპერიალისტური პრინციპის — „გათიშე და იბატონე“-ს უქრობი კერის აღმოცენებისა.

კრებული შეადგინეს აკაკი ბაქრაძემ და ომარ ჩუბინიძემ. რედაქტორები: ა. ბაქრაძე და ლ. ტატიშვილი. თარგმნა მასალები — ლ. ტატიშვილმა. რეცენზენტები: ჯემალ სტეფნაძე (პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი) და ქველი ჩხატარაშვილი (პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი).

ვფიქრობთ, წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული კულტურისათვის, განსაკუთრებით დღეს, როცა ბესტსელერად ვულგარული ლტერატურა იქცა.

ნინო ფაცურია

სამკურნალო კაბინეტი „სახ.მედიცინა“ მკურნალობს ავადმყოფებს, რომლებიც დაავადებულნი არიან ოსთეოქონდროზით, სახსნებში მარილების დაგროვებით, საჯდომი ნერვის ანთებით და სხვა.

მკურნალობას ატარებს უკონტაქტო, კონტაქტიანი, წერტილოვანი მასაჟით და მცენარეული წარმოშობის მალამოებით და სამკურნალო წამლის საშუალებებით, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი.

მისამართი: ივანავახიშვილის (კალინინის) ქ.№90,

მეტრო მარჯანიშვილთან. ტელ. 96-92-89, 68-82-60

ავადმყოფთა მიღება: 16-20 სათამდე

10 დეკემბერს შედგება ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ V ყრილობა. სადროშოებისა და ტერიტორიული ჯგუფების ხელმძღვანელები საბალდებულოა გამოცხადნენ 28 ნოემბერს თბილისში პუშკინის ქ. №5 II სართ. (თავისუფლების მოედანზე) საორგანიზაციო საკითხთან დაკავშირებით.

ყრილობის საორგანიზაციო ჯგუფი

გახსენება

გოჩა ლომია

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც შენ ჩვენს შორის აღარ ხარ. შენი ლამაზი სული ალბათ, ზეციურ სასუფეველში განისვენებს, ჩვენ კი მოურჩენელ ჭრილობად დაგვრჩა შენი ამქვეყნიდან წასვლა. შენი არსებობა ყოველი ჩვენთაგანისათვის განსაკუთრებული რწმენისა და იმედის მომცემი იყო. შენ იშვიათი გამონაკლისი იყავი, რადგან არ შეგეძლო, სხვების მსგავსად, ორპირობითა და ფარისევლობით ცხოვრება. საოცრად გვიმძიმს განშორება. რაც დრო გადის, უფრო ეტყობა ყველაფერს უშენობა. სათქმელი მეტი გვაქვს, მაგრამ ტკივილი სიტყვაზე დიდია და ვითუ მისი გამოხატვა ვერ შევძლოთ... როცა ყველაზე ძვირფასი ადამიანი გტოვებს, ნუგეშის სიტყვა ძნელი მოსაძებია და თუ მაინც არსებობს იგი, მაშინ ვიტყვით, რომ გოჩა ლომია არსად არ წასულა. ის აქ არის — ჩვენთან ერთად და სიკვდილის შემდეგაც გვასწავლის როგორი უნდა იყოს ადამიანი!

გვაპატიე, გოჩა, რომ უშენოდ ვცოცხლობთ... გვაპატიე, რომ შენს გარეშე მივყვებით ცხოვრების ორომტრიალს და დაგვერწმუნე, ამ სიცოცხლეს აზრი დაეკარგებოდა, იმ ქვეყნად შენთან შეხვედრის იმედი რომ არ გვქონდეს!

ნანა, ირმა, თეა, თეონა

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ულრმეს მადლობას სწირავს ქარ.ლის კოოპერატივ „ცისკარის“ თავმჯდომარეს ბატონ პაატა კუდუხაშვილს უანგაროდ გაწეული დახმარებისათვის.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ქეთი დავლიანიძე, გელა ეგანოიძე, ნინო ზამთარაძე, გია თვალავაძე, ირმა ლომაური, ნინო ფაცურია, სერგო ჯანაშია.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ. რედაქტორი: 93-20-36,

რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის

ინდექსი 66447

ფასი 500 რუბლის

შ/კ კუპონებში